



მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IV

ს. გელუკაძე

სამსოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური  
 კოეზიის ნაგებლი მასალების მიხედვით

29243

~~R 35080~~  
 3



022 ბებუაძის კუთხით  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



საქართველოს  
მეცნიერებათა

Материалы по этнографии Грузии IV

С. Н. Бедукадзе

ЖИЛЫЕ ПОСТРОЙКИ ПО ПЕЧАТНЫМ МАТЕРИАЛАМ  
ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ПОЭЗИИ

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . . . .	87-1
1. შენობა და მშენებელი . . . . .	3
2. მშენებლობის იარაღი და საზომი ერთეულები . . . . .	5
3. სააღმშენებლო მასალა და აგების ხერხები . . . . .	9
4. სახლ-კარის აღნაგობა . . . . .	16
5. საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი . . . . .	33
ტერმინთა საძიებელი . . . . .	48
შემოკლებათა განმარტება . . . . .	53



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ნაწილი არის იმ სამუშაოსი, რომელსაც ვასრულებდით 1939 წლიდან შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში თანამშრომლობის დროს, განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით. ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი წყაროებიდან ამოკრეფილი იქნა: საცხოვრებელი, სამხედრო, სამეურნეო და საკულტო ნაგებობათა შესახებ არსებული მასალა. პოეზია, როგორც უფრო გამძლე და ძველი ფორმების შემომნახავი, ძირითად წყაროდაა მიჩნეული, ხოლო ზოგიერთი დამატებითი მასალა ხალხური ზღაპრებიდანაცაა მოშველებული.

მოპოვებული მასალის თემატური დამუშავების მიზანია მკვლევარისათვის ხელმისაწვდომად დალაგდეს ქართულ ხალხურ პოეზიაში გაბნეული ნაგებობათა და მათი ნაწილების შესატყვისი სახელწოდებანი, რომ ამ ხერხით აღვივლი გახდეს სხვა ხასიათის წყაროებთან მათი შედარება.

ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით მოიცავს ცნობებს: საცხოვრებელი, სამხედრო, საკულტო და სამეურნეო ხასიათის შენობების შესახებ, რომელთაგან ამჟამად ერთი ნაწილია წარმოდგენილი.

ნაშრომი საბოლოოდ გაფორმდა 1941 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, პროფ. გ. ჩიტაიას უშუალო ხელმძღვანელობით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### 1. შენობა და მშენებელი

ხალხური პოეზიის ნაბეჭდ მასალებში ნაგებობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი არის შენობა, ნაშენობა, ან ნაგები. შენობა არის ყოველგვარი ნაგებობა: ციხე, კოშკი, სახლი თუ სხვა. მაგ., საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ამირანის ლექსში ნათქვამია:

იქ ერთი შენობა მოჩნდა ციხე იყო სალი ქვისა.

(უშიკ. 6.5)

ასევე ზღაპარშიც: „მგელი შევიდა ერთ დანგრეულ შენობაში“ (ჩიქ. 31), ამავე გაგებით იხმარება ნაშენობა 1872 წელს ქართლში ჩაწერილ ლექსში:

ამ დროს იმიტომ ჩავსცვივდით, თითონ ფიდა მამა შეილსა,  
ნაშენობაც დაანგრის პირველ თამარ-დედოფლისა

(უმ. 141.219)

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ნაგები — ხეცსტურულში.

სულამის დროს იძახეს: „ჯუთას ღვეცენს ბანთაო“.

ნაგები ქურსიკაისა ცეცხლის მოვლეს აღსაო.

(შან. 72.175, 4—5)

შენობის აგებისათვის საგანგებო დახელოვნებაა საჭირო. არსებობს აგების ქელი<sup>1</sup>. მაგ., სააკვირველი ქელით ყოფილა აგებული შურის ციხე, რომლის შესახებ ლექსში ამგვარადაა თქმული:

იტყვიან: წინად ბერძენთა ჰელ სქონდა საკვირვლია,  
რო მასსრულეს ციხეი, კარი შაბეს ზგელია.

(შან. 222.541, 13—14)

ამავე ლექსის „დ“ ვარიანტში ნათქვამია:

ვისაგან აგებულიყო, ანდრეზ არ არი ძველია,  
ვგონებ ბერძნებული სქვიან, ჰელ სქონდა საკვირველია.

(შან. 574.541. დ, 3—4)

საინტერესოა, რომ მოხვეწურ ლექსშიც „ბერძენის ჩაქუჩი“ იხსენება.

ზაით სახლს ქოთანნი გიღვას, ტყავი სურია ვერძისა,  
ქოთთაც გაგიფინულდა, ჩაქუჩი უნდა ბერძენისა.

(გომ. 81)

შენობა არის მძიმედ ნაგები, ან ლამაზ ნაგები. ქართლში ამბობენ:

<sup>1</sup> ერთი ხეცსტურული ლექსის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ქელი და ერთი ქელის კარგი მცოდნე მეორე ქელისათვის შესაძლოა სრულიად უძლური აღმოჩნდეს, მაგ.:

ფანდურის ჰელ ვერ გავიგი, როგორ გვემართებინა.

წისქვილს აგრე ვაგიმართებთ, ჭეჭა-ქუხილ უღებინა.

(შან. 277.680, 1—2)



კოშკი ხარ მარმარილოსი, მძიმეთ ნაგები კირითა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 124.804)

ბოლო თუშნი იტყვიან:

საგირთას ციხეს აგებენ, ციხესა აღმასისაო,  
აგაშენებენ სურონი ღამაზნაგებო ქვისაო.

(ხალს. პოეზია, 160)

ამათლიმ ხელის მცოდნეს ხელოსანი ეწოდება. „დიდებულო ხელმწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან ავიშენო სახლი“-ო (ჩიქ. 227). ხელოსნის პარალელურად გვხვდება მოსაქმელი. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში ასე ვგვაქვს:

ქვაზერელს არიან ზიქუბი მოსაქმელი ნავისაო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 38.151)

ტურმინი ხურო საქართველოს ყველა კუთხის მასალაში გვხვდება, მაგრამ სხვადასხვაგვარებით. უმეტეს შემთხვევაში ხურო ხეზე მომუშავე ხელოსნის სახელწოდებაა. მაგ., ქართლში ასეთი ლექსი გვხვდება:

დავიარებ სუროებსა, კილოხანს შევაყვრევიებ,  
შიგ ჩავსვამ ღერწამ-ღარეჯანს, წყალს მივცემ, წაელეზებ.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 186.1242)

ბოლო მესხეთში:

თვალი დაუდგეს სუროსა  
დაჯდეს და არახუნოსა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 272. თ, 3)

გურულ ფოლკლორში წარმოდგენილი უსტა ხუროც ხის დისამუშავებელ იარაღებს ხმარობს:

არშიოხაში შვეონა ვივაე უსტა, სუროვო,  
მარა შენთან შემომატყუა ხერხი, ცული და უროვო.

(ღლ. 29.58)

ქიზიყის სოფ. ვაქირში ჩაწერილ ზღაპარში ხურო-დურგალი იხსენება: „დაიბარა კაცმა ხურო-დურგლები და დაიწყო ახალი სახლის აშენება: როდესაც შუაზედ დედაბოძს აკეთებდნენ, ქალმა მამის უჩუშრა ფული მისცა დურგლებს და უთხრა: „ამ დედაბოძში კარები გაუკეთეთ“-ო. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 76). იქვე ჩაწერილ მეორე ზღაპარში სამი ტურმინია ერთი საქმიანობის შესასრულებლად გამოყენებული: „იქირავა ხურო, დურგლები, იყიდა ხის მასალა და მოიტანა, დააყენა ოსტატები და გააკეთებინა კიბე იმ ქალის სახლამდით“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 64).

ხევსურეთსა და თუშეთში ხურო ქვის ნაგებობის მშენებელია. ხევსური ამბობს:

სახლნ შიდგან სუროს ნაგები, კუთხს არ დაგლიჯნათ ქვანია

(შან. 303. 2. თ, 15)

ანდა



„გამოსურნავდი შაქილსა, გაქვ ატკიან ზანი,  
გამაუშლავის ფორეი, ზუროდ კირილე ზევანია.

ერეკნულნი  
ზიზღნირთქებ

(შან. 270.668,3—4)

ასევე თუშეთშიც სავირთას ქვის ციხეს „ხურონი“ აშენებენ (ტექსტი იხ. ზემოთ). ზოგან ქვით ხურობას კალატოზები აწარმოებენ, რაც კარგად ჩანს კ. შალალაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ გადმოცემაში თამარ-მეფის შესახებ: „კალატოზებმა მოახსენეს... მონასტრისათვის დამზადებულ ქვას კირხლი მოჰყიდებია, ვეღარ ვწევთო“ (ძვ. საქ. II. განყ. IV. 47.). ხურო და კალატოზი ერთუროს უპირისპირდებიან საქმიანობით ზემოთ მოყვანილი ზღაპრის ტექსტის მიხედვით: „მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი და არც სხვა რამ ხელოსანი“-ო.

ამათუიმ ხელის საუკეთესო მკოდნეს ოსტატი ეწოდება. მაგ., მცხეთის ტაძრის მშენებელს მასზე უფროსი ოსტატი ჰყოლია. ლექსის ზემოთმხროულ ვარიანტში ვკითხულობთ:

ცხეთა ისე ავაშენე, არცა ტკვარი, არც არაგვი ცვარი არ ამამილია,  
ოსტატმა მარჯვენა მამქრა, კარქი რისთვის ავიგია.

(ძვ. საქ. I. განყ. IV. 65. 17).

ქართლური ლექსის მიხედვით სანთუო კაბას ოსტატები ჰყერავენ:

სამნი ოსტატნი ღავსხელით, თურქი, აფსაზი და მესხი,  
სანთუო კაბას ვყერავლით.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 6.28)

## 2. მშენებლობის იარაღები და საზოგადოებრივი ერთეულები

ხალხური პოეზია მშენებლობაში გამოყენებული იარაღების შესახებაც ვგაუწვდის ცნობებს. ხეცურთ გვიამბობს, რომ ციხის აგების დროს ქაჩალი და ქვის სამტვრევი კვერი ყოფილა ხმარებულნი:

ამ ციხის აგებაშია მანდა ოცი წელია,  
ორმოც მონდა ქაჩალი, სამოც—ქვის სამტვრევ გვერია.

(შან. 222.541, 11—12)

ქართლში კი სანგრეველი რკინის კეტია მოხსენებული:

გაკეთა რკინის კეტი ჯოჯოხეთის სანგრეველი,  
ათი კეთეს დაანგრია, მეთერთმეტეს მიჭუო ჯელი.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 23.103)

წერაქვი მიწის და ქვის სათხრელი იარაღია. ხევში ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

ცნაგან უთხრიან საფლავსა, წერაქვს ამტვრევს ქვაზედა.

(უმ. 160.240)

მიწის სათხრელია აგრეთვე ბარი და ნიჩაბიც. კახეთში ამბობენ:

მათხუე ბარი-ნიჩაბი, სამარე ამოვიოსარო,

ანდა

(უმ. 316.777)

აეიღებ ბარსა ნიჩაბსა, გაღვიხვეც ქვასა ქვიშასა

(უმ. 158.238)

გურული ფოლკლორის მიხედვით ხუროს იარაღებია: სატეხი და ხერი.



ხვრომ სახლი აგიშენა სატენმა და ვორმა ხერხმა.  
(ლლ. 31.64)

ერეკნულნი  
ზიზღნიოთეკს

ხოლო ზემოთ მოყვანილ ტექსტში ხუროს ხერხი, ცული და ურო აქვს-ერთ ქართულ ზღაპარში ხუროს იარაღები უფრო სრულადაა ჩამოთვლილი: „მიშოვეთ ხუროს იარაღები რაც რამ არისო, ხელმწიფემ უშოვა... აილო ხელ-ში ხერხი, ეჩო, ხუსტარა, საწარბელა, შალაშინი და სხვა და გაჭია“.  
(სიხ. 159)

სათლელი იარაღის სახელწოდება უნდა იყოს მესხეთში ჩაწერილ ლექსში დაცული ტერმინი—ქასრი<sup>1</sup>.

შენ ვაჟო გაღმა უხნელო, თერთად გათლილო ქასრითა.  
(ძვ. საქ. III. განვ. II. 260, III)

ცულის სხვადასხვა სახეობანიც იხსენება ლექსებში. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ფრანგულ ცულზე ამბობენ:

ფრანგული ცული გავტენე იმის ფელის ქრანველაო.  
(ძვ. საქ. III. განვ. II. 146.993)

ხოლო ხევსურეთში ცულ-ათთარი სცოდნიათ:  
მივიდა, კენესით გააღა კარი ოჯახის მცავია.  
გამაუარდა ცულ-ათთრით ქალი ფეხვიით ავია.  
(შან. 341.42.04,41—42)

ხევსურეთშივე იხსენება წალდიც:  
ილღიაში წალდი შირაფის ქარაშხაის სტვირივითა.  
ფიჩხის კონამ ზურგ მამღვერა ჩალანდრეზის ვირივითა.  
(შან. 286.726, 3—4)

1884 წ. ჩაწერილ ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში წალდისა და ცულის ფა-სებიცაა აღნიშნული:

შენმა მზემ შემცნვარიშვილო, თამაზნან დაგმღურები,  
აბაზად წალდი გახადე, ოროლ აბაზად ცულები.  
(უმ. 188.307)

მესხეთში ჩაწერილ ანდაზაში ცულის ტარის დაგების პროცესიც გვაქვს გადმო-ცემული: „ცულს ტარი შიგნითგან დაეგებო“ (ძვ. საქ. III. განვ. II. 287 ც.). კვერის შესახებ ლექსი გვეუბნება, რომ არსებობს რკინის კვერი, მაგ., ხევსური ამბობს:

სახლის-კაცი მყავ ეგვით, შაგარ რო რკინის კვერია.  
(შან. 244. 597,13)

ხოლო სხვა ლექსში დიდი კვერი იხსენება:  
დაბარგს ი მჭედელი, ხელთ ეჭირა დიდი კვერი.  
(უმ. 152.232)

უროს შესახებ კი ქართლურ ლექსშია ნათქვამი:

<sup>1</sup> ქასრი ჭვის სათლელი იარაღის სახელწოდება უნდა იყოს, საბაო რბელიანის განმარტებით ქასრი—ჭვის დანაკს ნიშნავს (ლექსიც.).





ერთი ხელი მარწმუნისა, ერთი ურო საცემელი.

ქარქვეშაში

(ძვ. საქ. III. განუ. შიშაქციქუთქაბ

ამავე რიგის იარაღებს უნდა ეკუთვნოდეს „ბერძნის ჩაქუჩი“, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

საპოზ იარაღად ცულის გარდა არის პალო და სოლი, ცულის შესახებ მესხეთში ჩაწერილ ლექსში ასე გვხვდება:

იმ დღეს ცული გედა მხარზე, შეუა ვერ დაგაპოინე.

(უმ. 312.739)

ანდა ზემოიმერულ ზღაპარში: „სამივე ძმა წვეიდა მთაში შეშის მოსაპრელად თავის საგძლით და დაღესილი ცულებით. მივიდენ მთაში. წააქციეს უშველებელი მუხა და დოუწყეს პობა“-ო. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 26)

პალო გურულ ფოლკლორში შეგვხვდა: „დაქრა დიაკონმა უშველებელ ქორთუხს ცული და ჩაღვა შით პალო“-ო. (დლ. 190), ხოლო ხევში ჩაწერილ ლექსში სოლია ნახსენები:

მდარ სიტყვას შინც არ ვიტყვი თავი რო დამკან სოლუბი.

(უმ. 21.14)

მესხეთის სოფ. ხიზაბავრაში ჩაწერილ ლექსში იხსენება ქვა-ცხრილი და ცხავი, მაგ.:

თნის ტყავი მოხმარება ქვა-ცხრილადა და ცხავადა

(უმ. 313.749),

რომელთა მშენებლობასთან კავშირი ლექსიდან არ ჩანს, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია ამ ადგილის მოტანა, რადგან სხვა შესაფერ ტექსტში მათი სახელწოდება არ შემხვედრია.

ხელოსნის იარაღებია აგრეთვე ლარი, შიმშა და ფარგალი. ლარი იხსენება ნაგებობასთან დაკავშირებით. ლარში ნაკეთები ნაგებობა სანაქებოა. მაგ., კიხეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

თორმეტი ოთახი არის სულ ნაკეთები ლარშია.

(უმ. 148.225)

ლექსში იხსენება აგრეთვე შიმშა:

მკლავები შიმშას მიტიგავ,

გულ-მკერდით დახატული ზარ!

(ძვ. საქ. III. განუ. II. 219.128)

ფარგალი ხევსურულ ლექსში გვხვდება:

ჩემ მშობლისას ამბობენ: კანთს მავლო ფარგალი,

კანის სანვხვე აუღავ ვენაში გამოსატანი.

(შან. 262.645, 1—2)

ხევსურეთშივე გვაქვს ფარგლიდან ნაწარმოები სიტყვა მოფარგლი:

ერთან მოფარგლეს საფლავი თორმეტის აფიგრისაო.

(შან. 191.475, 28)

საზომი ერთეულებისა და გაზომვის საშუალებათა ირგვლივ ხალხური პოეზია მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა, ამიტომ აქ მოყვანილია სიგრძისა თუ სი-



მძიმის ყველა ერთეული, რომელიც კი შეგვხვდა მასალებში, მეტყველებს იმის შესახებ, რომ იხსენებთან თუ არა ისინი ნაგებობასთან დაკავშირებით.

სიგრძის საზომი ერთეულებია: მტკაველი, წყდა, ადლი. ზომიდან: საბელით, ჯოხით. საწონი ან საწყაო: კოდი, პინა, ფუთი, ჩარეჭი, სტილი, ოყა, მისხალი.

მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუგდეს,  
გატეხა და გადაადლო, „ფუ გამჭელი გაუწეღეს“!  
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვეს,  
შვილი მტკავლით გაუშომა, მისხალი არ დააგდეს.  
(უმ. 24.15)

ადლი იხსენება სხვა ლექსებშიც. მაგ.:

მუველი აზნაურისა ადლი და ნახვევია.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 85.437)

ან

წველ და ტფეში გავთაღე სამოცი ადლი ღარია.

(უმ. 251.461)

წყდა ზემოიშორულ ზღაპარში გვაქვს. ხელმწიფე „ავზავნის ქვასანაყს და ითვლევიანება ამაზე ამოქერით ათასი წყდა თასმა და გამომიგზავნეთო“ (ძვ. საქ. I. განვ. IV. 2.7).

კირს ფუთობით ანგარიშობენ, მაგ., „ეპარმა უთხრა ნადვიას, ელანძე საკირეში ჩივრბინე და გააგებე რომ ზეაღიზა ერთი ოცი ფუთი კირი დაწუ-  
ანო“ (ძვ. საქ. IV. განვ. IV. 53). კოდი კახეთში და ხევში ჩაწერილ ლექსებში შეგვხვდა. მაგ.:

ერთი კოდი ქერი მამცეს ისიც ჯორმა შემოჭამა.

(უმ. 203.346)

ან

იმან რომ ცხენი მამეადა ქვეიანი და ტიტველი.

ცხრა კოდი ქერი შატმა არ შამარინა ბზის მტვერი.

(უმ. 240.425)

პინა ხევში ჩაწერილ ლექსში არის მოხსენებული.

მეცხორე რი შეჩვია, ფველი უშიდა პინათა.

(უმ. 180.293)

ხოლო ჩარეჭი და სტილი ქართლურ ლექსში:

სტირმა ტალასი აიკრა ჩარეჭი და ორი სტილი.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 55.259)

ვოყა იხსენება გურულ ფოლკლორში: „დაღამდებოდა და ააყუდებდა სამ ვოყიან თოხს ჯარგვალაის ლოჯესთან“ (ლლ. 275) მისხალი კი არსენას ლექსის მი-  
ხედვით უმცირესი ზომის აღმნიშვნელი ტერმინია (ტექსტი იხ. ზემოთ.) ხელსუ-  
რეთში გაზომვა საბელით სკოდნიათ. ლექსში არის ნათქვამი:

წამოიტანეს საბელი, ზომენ ნეთხიშოს ტალასა

(შან. 158. 402,9)



### 3. საბაღმშენიჯლო მასალა და ამავთის ხეობეშქი

მასალის მიხედვით შენობა შეიძლება იყოს ქვისა ან კლდისა, მარლიოსა, აგურისა ან ალაგურისა, ალიზისა, მიწური, ძელი-სა, წნულისა ან ფანჩატი.

ქვისაა ციხის შენობა ხევსურეთში, მაგ.:

რგვლიეთ, ატაპიონო, ციხე ღაგუჯო ქვისაო.

(შან. 212.521,9)

კლდის სახლი და ალაგურის წალკოტი ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენება:

ქაჭკარს ვნახე სახლი კლდისა და წალკოტი ალაგურის.

(უმ. 345,1009)

ქვას ხმარობენ შენობის საძირკვლისა, კედლებისა და ხშირად სახურავი-სათვისაც. მაგ., კახეთში ისეთ ნაგებობას, რომლის „საძირკველი ქვაში“ არაა გამოცანად სახავენ:

თორმეტი ოთახი არის სულ ნაკეთები ღარშია,

არც ხეა, არცა ფიგარი, არც საძირკველი ქვაშია.

(უმ. 148.225)

და ამგვარ ნაგებობას სამოთხეს უწოდებენ, ხოლო ვერხოვანის ციხეს არა თუ კედლები აქვს ქვის, თავზედაც სიბი აქვს ვადახურული:

ვერხოვანს წერილო ციხეო, ქვაი ვინ გაწყო ქვაზედა,

ექვს ოთახზედა აგაგეს, სიბი ღაგურეს თავზედა.

(ძვ. საქ. II. განვ. V. 52.77. თუშეთი)

ქვის ჯიშები ხალხურ პოეზიაში საკმაო ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. იხსენება სალი ქვა. ამირანის ლექსში, რომლის ჩანაწერებიც უმთავრესად ხევიდან და ხევსურეთიდან არის, ასეთი ადგილი გვაქვს:

იქ ერთი შენობა მოჩნდა ციხე იყო სალი ქვისა.

(უმ. 6.5)

ხევსურულ ლექსში ხშირად გვხვდება ბასრის ქვა. ნაგებობისა თუ სხვაგვარი გამოყენებით, მაგ.:

წენ-უბან ღაგაჯანუბელი ნაგებსა ბასრას ქვისასა.

(შან. 51.134,18) და სხვ.

გვხვდება აგრეთვე მარილის ქვა თუშურ ხალხურ პოეზიაში:

გაღმოდის მარილის ქვაი, ციხის კარს უყრავს შვეღარიო.

(ძვ. საქ. II განვ. V. 29.50),

რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს მარილაის ქვა ხევსურულში. მაგ.:

ბორბალ აგებენ ციხესა, რო მარილაის ქვისასა.

(შან. 62.157,1)

ხოლო იმავე ლექსის სხვა ვარიანტში ბროლ-მარილაის ქვაა ნახსენები (შან. 425.157 ბ, 2).

ბროლა და აღმასი ფანტასტური ნაგებობისა და ლამაზი შედარებების დროსაა უფრო მეტად გამოყენებული. მაგ.:



წაიფანა და იქ დასვა სად ბროლის ციხე ცამდია.  
(უმ. 157.238)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ან და

აღმასის ფანჯარაშია ქალ დაგინახე პირი მე.  
(უმ. 318.795)

იხსენება მარმარილოც, მაგ., ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ფშავეურ ხალხურ ლექსში გვაქვს:

ღამაზს სასახლეს აგიგებ სუ მარმარილოს ქვისასა.  
(ძვ. საქ. II. განვ. IV. 312)

ანდა ქართლში ჩაწერილ ლექსის შემდეგ სტრიქონში:

კოშკი ხარ მარმარილოსი, შპიმეთ ნაგები კირითა.  
(ძვ. საქ. III. განვ. II. 124.804)

ხოხი ქვით თუშეთში ციხე ყოფილა ნაგები, მაგ.:

წაროს თავს, გიგის ციხეო, ნაგებო ზოზი ქვისო.  
(ძვ. საქ. II. განვ. V. 10.27)

ხეცსურებმაც იციან ეს ტერმინი:

ბევრა ვაჟა შატილსა, გულ უძე ზოზის ქვისაო.  
(შან. 204.513,8)

თუშურში იხსენება გოხიც, მაგრამ ეს სალესი ქვის ჯიშის სახელწოდება უნდა იყოს, რაც შემდეგი ლექსიდან ჩანს:

გოს-გავლეზული ფრანგული კაბას რა კარგად სჭრისაო.  
(ძვ. საქ. II განვ. V. 13.30).

ქვის სახელწოდება უნდა იყოს ხეცსურულ პოეზიაში ნახსენები ქარაფი:  
დაღმარნეს წვერის ძირშია, ზე ქარაფს დასცემდიანა.

(შან. 86.206, 16)

ლოდი იხსენება ქართლში.

რომ გავიარე კარები მაშინ დამიდგა თვალები,  
დამეცა ლოდის ნაპობი, დამმეტვრა მხარი, მკლავებო.  
(ძვ. საქ. III. განვ. II. 159.1029)

ხოლო ბალაჯერის შესახებ გურულ ხალხურ პოეზიაში ნათქვამია:

სამა კმამა პალაქმა ჩვენ გავატელთ პალაქერი,  
თუ თორმეტი ჩამეღედეს ის იქნება ფალაქანი.  
(ღლ. 26.47)

იხსენება ლექსებში აგრეთვე ნარიყი (ძვ. საქ. III. განვ. II. 154.1038 ქართლი) რიყის ლორდი (შან. 117.264,3), ქვა წერილი (უმ. 347. 1027 მესხეთი) და სხვ.

ხალხური პოეზიის ჩემს ხელთ არსებულ მასალებში იხსენება ალიზისა და აგურის შენობებიც. მაგ., ქართლელი ამბობს:

გომელებო, თქვე პლუტებო,  
სახლი გვგათ ალიზისა.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 88.465)



ხოლო აღვანში ქვიტკირის და აგურის ციხე აუჯიათ.

აღვანში ციხეს აგებენ ქვიტკირის აგურიხო.

(შან. 329,28) **ქართული**  
**ბჭკი** **საქართველო**

ალაგური ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენიება როგორც საშენი მასალა (ტექსტი იხ. ზემოთ) და აქვე იხმარება კრამიტიც.

ქალაქის აბანოები ფასია სმელეთისაო!

.....  
შიგ წყარო ამოფანეს ის არის კრამიტისაო.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 90.478).

ნაგებობისათვის საკუთრივ მიწაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. მოხვედრი ლექსი ამბობს:

საწვალი კაცის ცხოვრებას რათ უნდა ბევრი სრიალი,

ერთი ქოხი მიწური და ერთი კოკა წელიანი.

(გომ. 72)

ხის მასალაც ისევე ფართოდ ჩანს გამოყენებული ნაგებობათა მშენებლობაში, როგორც ქვა, ოღონდ განსხვავებაა მისი ვაერცულების არეში. მაგ., თუ ხევესურულ და თუშურ პოეზიაში ქვის ნაგებობათა შესახებ არის მუდამ საუბარი, დასავლეთ საქართველოს ფოლკლორში მოხსენებული თითქმის ყველა შენობა სულ ხით ჩანს ნაკეთები, დანარჩენ ზოლში ყველა სახის მასალაა ნაგებობისათვის გამოყენებული.

ხის მასალით მთლიანი სასახლევ არის აშენებული. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

სასაზღე იორამისა ნათალი წმინდა ხეაო.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 214.81)

ზემო იმერეთში ჩაწერილ ლექსში ხის კოშკი გვხვდება (ძვ. საქ. I განვ. IV. 61.8), მესხეთში ვალავანი (უმ. 95.142). ქართლში ხის ქოხები (ძვ. საქ. III. განვ. II. 2094) და სხვ.

ბე-დ იწოდება ნაგებობისათვის დამზადებული მასალა ხევესურულში, მაგ.:  
ბევრა ხეებ ჩამოყარე ქვიტკირისად ნაჭარია.

(შან. 277.682,2)

დას. საქართველოს ფოლკლორში ძელი იხმარება. გურიაში ამბობენ:

ელისავო მელისავო, სახლი დავდეი ძელისავო.

(დლ. 30.61)

ხოლო ზემოიმერულ ზღაპარში გვაქვს: "ევიდა მზის დედის ძელურ ქოხში"-ო (ძვ. საქ. I. განვ. IV. 4. 1).

ხევესურული ლექსის მიხედვით ფიცარს ტყეში თლიან:

ჭაღას წამავე ფიცრობა, საბავე ფიცარ გავთალე,

შეორე კვირას წამავე, ვვლარ შავქლეე ჭაჭანი.

(შან. 277.683, 1-2)

ფიცრის ამგვარად დამზადება თითქოს მხოლოდ მთიულების ჩვეულება იყოს. ერთი ქართლური ლექსი პირდაპირ ამბობს:

შე ხომ მთიული არა ვარ ტყეში გავთალო ფიცარი.

(ძვ. საქ. III განვ. II. 137.938)



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქართლში კი ამბობენ:

ეს ძეგლს რომ თქვენს წელათ არი,  
დახერხეთ კაი მოარეზი  
და ჩადგით კაი მოარეზი.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 97,536)

იმერეთში კი ნამორი არის მოხსენებული ერთ გამოცანაში:

ჩაკიბულსა კიბეზე, სიროდიანის ციხეზე,  
ოთხი ნამორი აწვეია, ერთია კიდის კიდეზე.

(უმ. 545,2197)

ხისგანვე ამზადებენ ყავარს. თუ ფიცარს გათლა ან დახერხვა უნდა, ყავარი გაბდის ხერხით მზადდება. ზემო იმერეთში ჩაწერილი ლექსი პირდაპირ ამაზე მიგვითითებს:

Ⓟ გავლ ზესა, გავრამ ზელსა, ყავარს გავხელი თქვენსასა.

(ძვ. საქ. I. განვ. IV. 88. ბ. 7)

რაქაში ჩაწერილ ლექსში დასახელებულია მქეყარე მუშა.

Ⓠ შეყარე მუშა მოდიან, ფაცია შეილიც არი.

(უმ. 74,90)

ამ ლექსის მიხედვით ყავრის გახდა კოლექტიური შრომით ხდება. ყავარი იხმარება ნაგებობის გადასახურავად. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ჩარდასს თავზე ყავარი ხურავს (უმ. 207,358), ერდოსათვისაც ფიცარი და ყავარია გამოყენებული (უმ. 159,238 ხევი) და სხვ.

ხის მასალად იხმარება მუხა. მაგ., ზემოიმერულ ზღაპარში ნათქვამია: „წააქციეს უშველებელი მუხა და დოუწყეს პობა. აპეს, აპეს, მარამ ვერასფერო ღონით ვერ მოახერხეს მუხის დაპობა. მოპრიან მეორე ძირ მუხას და ის კიდე უფრო კუნძიანი და გოჭობელი გამოდგება“ (ძვ. საქ. IV. განვ. IV, 26). ნაგებობისათვისაა გამოყენებული თუთის ხე (უმ. 95,142. მესხეთი); კაკალი და ალუბალი (ძვ. საქ. III განვ. II. 109, 652. ქართლი); ფიჭვი, ნაძვი, მასხალი (უმ. 341,971. ქართლი); ძეძვი (ძვ. საქ. III. განვ. II. 208,50. კახეთი); ჯარჯი (ძვ. საქ. III. განვ. II. 108,652. ქართლი); ქაცვი (უმ. 459 ანდა-ზეზი. კ.); ჩალა (უმ. 282,573); წიფელი (ძვ. საქ. III. 185,1236); რცხალა (ძვ. საქ. III. განვ. II. 155. 1043); ალვის ხე (უმ. 360,1099).

ხის მასალის სახელწოდებათაგან იხსენება აგრეთვე: შეშა (ძვ. საქ. IV. განვ. IV. 87. ვაჭირი); ფიჩხი (შან. 269,662,2); ჩხირი (ძვ. საქ. III. განვ. II. 178,1201); ნაფოტი (ძვ. საქ. III. განვ. II. 272,38); ნაფოტარი (უმ. 360,1099); სარი (უმ. 314,753); წმინდათ დათლილი სარი (უმ. 230,426); წნელი (ძვ. საქ. III. განვ. II. 300, მესხეთი) და სხვ.

ხის მასალის თავისებურების მიხედვით პოეზიაში ნახსენებია ძელის სახლი (ტექსტი იხ. ზემოთ), წნულის სახლი (ძვ. საქ. III. განვ. II. 216,99. კახეთი), ფანჩატი სახლი (ძვ. საქ. II. განვ. IV. 346,83. ფშავი).

პოეზიაში მოხსენებულია აგრეთვე ცოცხალი ხეებით ნაგებობათა გამშველების წესი. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

ჩვენი მასპინძლის კარწინა ხევანი ამოსულიყო.

(უმ. 314,997.)



ანდა

კარზე დაგიდგამ ალვის ხეს საჩრდილობელსა მზისას,  
 (უმ. 158,238)

ციხესაც ხევსურების თქმით:

ღთის კარზედ საყვეწურადა დღგომიან ალვის ხენია,  
 (შან. 222,541,7)

ხოლო გურულ ლექსში „ნაძვის ბოლებით“ გამშვენებულ ნაგებობაზეა ლა-  
 პარაკი:

სავაჭროს ჩვენსას შევხედე, დუქანი გაჩაღებული,  
 ვარსემო ნაძვის ბოლები სავერცხაფითა შორთული,  
 (ლლ. 126,128)

ხალხურ პოეზიაში მოგვეპოვება აგრეთვე ზოგიერთი ცნობა ნაგებობათა  
 შენების ხერხების შესახებ ქვითა და აგურით. აგების ყველაზე მარტივი ხერ-  
 ხია ყო რე, რომელიც უფრო მეტად ხევსურულ ლექსებში იხსენება, მაგ.:

გამოშლავეს ყორეი, ზუროდ კარიღე ხევათა,  
 შაუსხნა კეზის ბოლოსა სამრელოს ყორის ქვანია,  
 (შან. 270,668,4—5)

სიტყვა „გამოშლავეს“ გვიჩვენებს რომ ყორე უბრალოდ ქვაზე ნადები ქვა  
 არის. ყორე იხსენება სხვა ხევსურულ ლექსშიც:

ჩიქასთან დაუბარებავ: სორცი წაიღე მშვილსაო,  
 მე უმარილო მელევა, შენ ყორე გადა ქვისაო,  
 (უმ. 168,263).

ყორე იხსენება აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ.  
 „მძიმეთ ნაგები“ შენობებისათვის (ხალხური გამოთქმა რომ ვიხმაროთ)  
 უფრო რთული ხერხები გააჩნიათ: აგებენ ლამ-კირით, ქვითკირით და  
 დულაბით, ლამ-კირით ნაგები ციხე ხევსურულ ლექსში იხსენება:

ფერ ახლომაი ხელხანავ, შესხა სახლსა და კარსაო  
 ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზე ნაღებსა ქვასაო,  
 (შან. 87,208,30—31)

იქვე ჰქონიათ ქვითკირად ნაგები (შან. 276,678,5) და დულაბით აგებული სახ-  
 ლები. ხევსურეთში როცა დამქირავებელს

სახლი კაზიონ არ დახედა, ქირა გაიღა, ფულია,  
 მგელაისთანა ისურა დულაბით აგებულია,  
 (შან. 288,732, 6—7)

ქვითკირი ხევსურეთში თვით ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინადაა ქვეული:  
 აკუსის ქვითკირ ავაგე ლაფ გაუსვი კირივითა,

(შან., 285,726, 1)

ქვითკირი ქართლურ ლექსშიცაა ნახსენები:

კაცი თავის გრძობისაგან ბოლოს ჩავარდება ჭირსა,  
 ჭირსა უნდა გამაგრება, როგორც წყალში იმ ქვითკირსა,  
 (ძვ. საქ. III. განყ. II. 188,1263)



კირი საქართველოს ყველა კუთხის პოეზიაში იხსენება, ხელოვნებაში კირის დასამზადებელი ნაგებობის სახელწოდებანი და თვით კირის დასაწვის პროცესიცაა აღნიშნული. კირი, ლამი, ქვიშა (და ლათინური კვის ნაგებობისათვის აუცილებელი მასალა. მაგ., ხეცურული ლექსი ამბობს:

ყოფილა საკადრისაი ღამ-კირით გაღესულია  
შიგაით პოლი, ღამფაი სრუ ზერსით დახერხულია.

(შან. 288.732,9)

კახეთში ჩაწერილ ლექსში კი ვკითხულობთ:

როცა აშენდა მანგლისი, წყალი მიუგდეს მილითა,  
[თფრათა ლესეს სახლები ქვიშანარევი კირითა].

(უმ. 180.293).

ლაფის გასმაც ისევ ზემოთ მოყვანილ ხეცურულ ლექსშია მოხსენებული.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობისათვის შეგვხვდა რძით პირისმო-  
ლესვა. მაგ.: ქართლში ჩაწერილ ლექსში ასეთი ადგილი გვაქვს:

თავს საწნახელი დამადეა  
პირი მოუღესე რძითაო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 61.282)

ამავე ხასიათის ლექსში გვხვდება დატალახვა. მაგ.:

როცა სტუმარი მოვივა ქვევრს მაშინ დატალახავო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 107.635)

ზვირად იხსენება ხურვა, ხურავენსიპით, ყავრით, ჩალით და სხვ.  
(დაწვრ. იხ. ქვემოთ სახურავთან).

ნაგებობის გამშენებისათვის იციან მოკუე და სხვადასხვა ძვირფასი თვლე-  
ბითა და ლითონებით. მაგ., აბანო შეიძლება იყოს „მალლიდგანა მოჭედილი  
წითელ იაგუნდისაო“ (უმ. 108.173, კახეთი), ანდა „სასახლე ოქროთი და მარ-  
გალიტით მოჭედილი“. (სიხ. 188). ერთ-ერთ ხეცურულ ლექსში იხსენება  
სახლი მორთული სარათიანი. მაგ.:

სახლიმე დაგჩება ტივლადა მორთული, სარათიანი!

ჯოგიმე დაგჩება ტივლადა, კარს გიბავ ნალ-უსმრანი!

(შან. 150.378, 3—4)

რას ნიშნავს სარათიანი, ამის შესახებ შესაძარებელი მასალა არ მოგვეპო-  
ვება.

ნაგებობასთან დაკავშირებით ხალხურ პოეზიაში იხსენება რამდენიმე ლი-  
თონიც. ნაგებობას ზოგჯერ რკინის კარებს უკეთებენ (შან. 161.418,2),  
ციხეებს „რკინის ლიბო“ ან სინის ძირი აქვთ ჩადგმული და ბელელს  
სინის ზღუბლი. მაგ.:

გაღმა გამოღმა ციხეებს ლიბო ჩაუდგეს რკინისა.

(ძვ. საქ. II. განუ. V. 27.49. გარკვევითი)

ან

ციხემ თქვა...

შაღვას ანაგები ორ, სინის ჩამიღვა პირიო.

(შან. 221.540,5)



ან

გუდან აგებენ ბელღოსა, ზღუზლოდ უღებენ სინასაო.  
(შან. 79.191, 1)



თავის სანაქებო გმირებს ხევსურული პოეზია რვალითა და ოქროთი შექმნილ ნაგებობას უსურვებს. მაგ.:

მგელათ უთურგას აუგით ეკალღამაი რვლისსაო:

ოქროს დაუღვით სარკმელი, შუქი ჩაადგეს მზისსაო.  
(შან. 62.155, 18—20)

თუშურ ლექსებშიც იგივე ლითონები იხსენიება:

ღამარხეს მელევე განა,  
კუბო გამართეს რვლისსაო,  
მოქარგეს ოქროს მკერღიათა,  
შუქნი ადგება მზისსაო,  
ოქროს შუშუტებ ჩაუშევს  
შუქნიმც დადგება მზისსაო;  
(ძვ. საქ. II. განუ. V. 6.16)

თუშურ ლექსშივე იხსენიება რვალი როგორც ფულადი საშუალება:

—ა ვაიმე ჩემო თუშეთო,  
ვეღარ მოგივალ მთელიო,  
ჩამოიფვანეს ლეკვითში,  
შემოვწვია ჯარიო.  
—ესა თუ იყო ღუნსუმი,  
ჩვენ იყო ნიაღვარიო,  
იფიდა ჭირის პატრონმან,  
ხულ გაიტანა რვალიო,  
საფლავზედ შამაანდინეს,  
როგორც ნაკურთხი ხარიო.  
(ძვ. საქ. II. განუ. V. 40—41.66)

ზოგჯერ კი რვალის მაგიერ ამავე ლითონის სხვა სახელწოდებაა ნახმარი:

ვრთგან მოფარგლეს საფლავი თორმეტის აფიცრისსაო,  
ზედ გადახურეს სპილენძი, ნამიც ნუ ჩავა წვლისსაო.  
(შან. 191.475, 28—29)

ლითონის გარდა ლექსებში მოხსენებულია მინა ან სარკე. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

იმას ვერაფინ სჯობია, სანლო უღვია სარკისაო.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 176.1167)

ხოლო კახეთში ჩაწერილ ლექსში მინაა ნახსენები:

ფანჯრებ გავაკეთებინებ, ვასწმინებ მინსაო.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 225.167).



## 4. სახლ-ქარის აღნაგობა

საცხოვრებელი სახლისათვის ადგილის გამოჩვენებას, მასზე დასახლება და მოწყობას დასახლება ეწოდება. დასახლებისათვის გამოჩვენება. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში იხსენება:

ერთს ულაგო ზღაგას ერთი გლახა ესხლება.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 32.117)

ხევსურეთში კი იტყვიან სახლობსო, მაგ.:

ნატრობდა ქალუნდაური: „ნეტა ვინ ამეფნაო!

საც შექობაური სახლობს, იქამც კი ჩამაჩინაო“.

(შან. 11.30, 19—20)

თვითეული მოსახლის ალაგა ან ადგილი (შან. 196.478, 21 და სხვ.) შემოსაზღვრულია მიჯნით, რომლის იქით არის სხვისა. მაგ., ქართლურ ლექსში ამბობენ:

შე ვერანო შევო ზმოვ აჭვე-დაჭვე მიჯნასა.

თუ გადავალ სხვისასა, თოფს დაგარტვამ ზისასა.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 178.1202)

სამოსახლო ადგილის მნიშვნელობით გვხვდება ქარის პირი. ხევსურულ ლექსში ნათქვამია:

სადღეოდ გულის შეეთო, სახვალოდ ღიბუს მოხრულია,

გაგატანინებს მამულსა, გედვას კარის პირს მტველია.

(შან. 121.270, 3—6)

იგივე იხსენება ზღაპარშიც. მაგ., „იმით ბედობაზე მარტო ერთი კარის პირი იყო სადღაც შორს, რიყეზე და ქვიშაზე, კინკრისა და ლოლოს მეტი არც არაფერი იდგა იმაზედ და არაფერი მოდიოდა“ (სიხ. 152).

მიჯნას შიგნით მოწყობილია სამყოფო. ვაჟა-ფშაველას მიერ ფშავში ჩაწერილ ლექსში აღნიშნულია:

მაგის სამყოფოს სას-კარსა, საბოსლო ქოზი სჯობისა.

(ძვ. საქ. II. განვ. IV. 340, 37)

მესხეთში კი სახლ-სამყოფი იხსენება:

ეს ქვეყანა ტანჯვისა არს, ავ-კარგი ჩვენი ვაღია,

როგორც ღმერთსა გაუგია, მოუვია ჭსჯა, თვალია,

სახლ-სამყოფი, საბადელი, ჭინაზული, გვაქვს ნალია,

კაცი რახაც ჭთესს, მას მოშკის, გაღისღის, თუ აქვს ზრალია.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 265.29. IV)

ხევსურული მასალაც გვაძლევს ამ ტერმინს:

შენი სამყოფო აღამო, ციხის სათავის თვალია,

დაკარ ამელანტარი, ზედ დაჯვდ ნივ ქარია.

(შან. 218.536, 20)

ხევსურულში იხსენება ბინა ამავე მნიშვნელობით. მაგ.:

ძაუტში მიძეს ბინაი, ნაპირი ქალაქისაო.

(შან. 100.223, 50)

მაგრამ ბინა ქართულ პოეზიაში უმთავრესად მაინც მეცხვარეობა-მესაქონ-  
ლეობასთან დაკავშირებით იხმარება.

დასავლეთ საქართველოს პოეზიაში სამყოფოს მაგიერ <sup>ქართული</sup> ~~საქართველო~~  
რება. მაგ., გურიაში ამბობენ:

მათ სადგომ სახს შიადგენდა უბრალო რამ ფაცა ჰველი.  
(ღლ. 140.141)

სადგომი იხსენება სვანურიდან დადემშქელიანის მიერ თარგმნილ ლექსშიც.  
რერადი, ამაღამდელი სადგომი სად მექნება? რერა.  
(უმ. 385.1143)

ოდესღაც საცხოვრებელ ადგილად ნამყოფ და შემდეგ გავერანბნულ ად-  
გილს გურული ხალხური ზღაპარი ნაპარტახალად იხსენიებს: „წუთიდან  
სახს ცხელი და გუუდგენ გზას... წამევიდენ ისევე უკან ნაპარტახალზე“ (სიხ.  
261).

სამყოფოს ძირითადი ნაწილი არის სახლ-კარი. სახლ-კარის მაგიერ  
ზოგჯერ ბან-კარი გვხვდება. მაგ., ხევში (ს. სტეფანწმინდა) ჩაწერილ ლექსში  
ვკითხულობთ:

ქალი ქისტი გობს ზვესურსა, ვაეი ორსოვლელი,  
სამდეგად გულამურელი, თავის ბან-კარზე სწეული.  
(უმ. 435.1602)

მესხეთში ჩაწერილი ლექსის კონტექსტში ერლო-კარიც ამავე გავებით  
უნდა იყოს ნახმარი:

წაქეზე მთლად ლეკობა, გვიტეხვენ ერლო-კარსაო.  
(ძვ. საქ. III. განე. II. 239,3)

ხოლო სხვა ზღაპარში ეზო-კარი იხმარება: „სულ ძვირფასი ქსო-  
ვილებით დაათენინა ეზო-კარი“-ო (ჩიქ. 124). მოხვეურ ლექსშიც კარი და ეზო  
ერთადაა გამოთქმული.

ვანო გულახეზარო, კმაშა დაგლუბა ზესომა,  
ჩაჩნეთს ფაჩაღად გავარდნამ, ცხოთა კარმა და ეზომა.  
(გომ. 17)

ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში ეზო-მიდამო იხსენება: „უშველე-  
ბელი ეზო მიდამო ღობით იყო შემოვლებული... ეენთოთ სახლებსა და სახ-  
ლებს შუა ბელღების წინ თორნე და ზედ დატრიილებდნენ ხაბაზი ქალები“.  
(ძვ. საქ. IV. განე. IV. 30). მოხვედებში ჩაწერილ ლექსში იხსენება აგრეთვე  
სახლ-გალაფანი. მაგ.:

როცა მანგლისი აშენდა, წყალი მიუშვეს მილითა,  
დამართეს სახლ-გალაფანი თერთათ გაღვხეს კირითა.  
(გომ. 100)

ზემოთ ჩამოთვლილ ცნებებთან, როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში  
კარი არის ხმარებული, მაგრამ კარი ხშირად დამოუკიდებლად და უფრო ფარ-  
თო წნიშვნელობითაც იხსენება. მაგ., ხევსურულ ლექსში  
გებითაა მოცემული:

2. ს. ბედუკაძე. საცხ. ნაგ. ხალხ. პოეზიაში

29243





—რამ გამოგაქვივ, ერეკლე, რამად დაგატანა ძალი?

—რასა მკითხვედით, რუსებო, მტერმა მომტაცისა კარი, შამაღია თურქმანი, ქალაქს გააღინა ალი.

(შან. 23,57,5—7)

კარი ფართო გაგებითაა ნახმარი შემდეგ ხეცურულ ლექსშიც:

შატლის რაღა სდით, მშველემო? განა ქალაქის კარია?

განა სხენ ოქრო-მჭედელნი, გან იწურება რვალია.

(შან. 61,151,1—2)

მესხეთში (ს. ხიზაბაერა, 1884 წ.) ჩაწერილ ლექსშიც კარი ფართო გაგებითაა ნახმარი:

კარგსა შეუღლეს ღვეძებ, დავღვიარ კარის კარაღა.

(უმ. 316,774)

ძირითადად სახლ-კარი უნდა გაგებულ იქნას, როგორც ორი მნიშვნელობის შეერთება: სახლი—საცხოვრებელი ნაგებობა და კარი—საცხოვრებელი მიდამო, ამ შინაარსს იძლევა, მაგ., შემდეგი სტრიქონები:

სრუ გადაშინჯეს სახლ-კარი, შაქლეს ფელოს ბანჯეღა.

(შან. 427,163, გ. (019),38)

ანდა

კატემა რომ შეგვაწუსეს, სიძვრელია ჩვენთვის ესა,

სახლში აღარ დავაფხენეს, კარში აღარ გავფიშვესა.

(უმ. 247,459).

„სახლი ზოგადი სახელი არს ყოელთა სახლთათა“, — ამბობს საბა<sup>1</sup>. ხალხურ პოეზიაშიც სახლი ამ გაგებითაა წარმოდგენილი. ლექსებში მრავლად მოიპოვება ცნობები სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციის საცხოვრებელი სახლების შესახებ, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. ამჟამად კი ვილაპარაკებთ სახლის საერთო კონსტრუქციასა და მისი მთავარი ნაწილების განლაგებაზე.

სახლის ნაწილებია: საძირკველი, კედლები, სახურავი, კერი, იატაკი, დერეფანი, კარი და სარკმელი.

სახლის აშენება იწყება საძირკვლის ჩაყრით. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ასეთი გამოთქმა გვაქვს:

მისმა სოქვა: „სახლს ვაშენებ, ჩამაყრია საძირკველი“.

(მე. საქ. III, განვ. II, 151,1028)

საძირკველი ქვისა უნდა იყოს. კახეთში (ს. გლრჯაანი, 1870 წ.) ჩაწერილ გამოცანაში სამოთხის შესახებ ასეთი სტრიქონები გვაქვს:

თორმეტი ოთხი არის, სულ ნაკეთობი ღარშია,

არც ხვა, არც ფიცარი, არც საძირკველი ქვაშია.

(უმ. 148,225)

სახლის საძირკველი განსაკუთრებული მზრუნველობისა და პატივიცემის საგანია; ამას გვიდასტურებს ქართლში ჩაწერილი ლექსი:

<sup>1</sup> საბა - სულხან ორბელიანი, ლექსიკონი, თბილისი, 1928 წ.



გერ აღდგარქელოს კერაო, იმას უკვერის ველოაო,  
მერ სხლის სამირკველი, სტუმარი და მსპინქელი!

ერქუნქული  
ბიზბულირთქუქ

(ძვ. საქ. III. განყ. II. 95.523)

ხევში 1871 წ. ჩაწერილი ლექსის მიხედვით მდიდარს მძიმე საძირკველი აქვს. აქ ნათქვამია:

ხერის ცხოვრების პატრონი ვე მძიმე სამირკველისაო.

(უმ. 64.70)

სამირკველის ჩაყრის შემდეგ იწყება კედლის შენება, რომელიც შენდება ქვის რიგების წესით. მაგ., სოფ მარაბდაში ამბობენ:

კელს ვაშენებლი, ურიგებ ქვსა.

(უმ. 303.687)

კედლებს შორის მოთავსებულია სახლის ესა თუ ის განყოფილება. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ის კელეო, ეს კელეო, უკაშე არის აშარი,  
აშარი და აშარის კუთხე, ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 215.84)

სახლის ზედა ნაწილს სახურავი ეწოდება. მაგ., ზემო იმერეთში ს. გაშვილიძის მიერ ჩაწერილ ზღაპარში ასე იხსენება: „ამ ღლიდან შევიდოდა ვინცა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ჩუმით ჩამოსძახებდა“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 2).

სახურავი სხვადასხვაგვარია, ხშირად იხსენება ბანიანი სახლი. მაგ., სოფ. ვაქირში, „ვაქირელი ქალის“ მიერ ჩაწერილ ზღაპარში ასეთი ადგილი გვაქვს: „ვამოეთხოვა დედაბერს და ავიდა ქალის სახლში...ავიდა ბანზედ და დაიწყო წინ და უკან სიარული, ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა“. (ძვ. საქ. IV. განყ. IV, 63-64). ბანური სახურავი, როგორც ჩანს, მკვიდრადანა ნაგები. მრავალ ხალხურ ლექსში ნათქვამია, რომ ბანზე იკრიბება ხალხი, ხდება თამაში, ლექსობა, საუბარი და სხვ.

ბანური სახურავისაგან განსხვავებული სახურავი უნდა ჰქონდეს აფრიან სახლს, რომლის შესახებ ერთ ლექსში ნათქვამია:

სხლი დავღვი ოქროსი, აფრა მარვალიტისა,

შიგა რძალი მოვიყვანე ზენიერი ფეხისა.

(სიხ. 76.126)

სახურავის მასალაა: ჩალა, ყავარი, ფიცარი. კახეთში 1868 წ. ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ერთი ძველი სხლი მერგო, თავზე არ ეჭურა ჩალა.

(უმ. 203.346)

ყავრათაა გადახურული ჩარდახი, ხოლო ერთო გაკეთებულია ფიცრით.

სახლის შინაგანი ნაწილებია: ქერი და იატაკი. ქერი ზედა ნაწილია. ეს კარგად ჩანს ხევსურულ ლექსში:

ეს ბეწვით ჩამამხული ორ, ქერში რა სკიდავ ქირქოი.

(შან. 257.630,3)

მაგრამ ქერი განზოგადებული შინაარსითაც იხმარება. მაგ., ხევსურულ ლექსში ნათქვამია:



ქართული  
ნიპლარული

უიშნავე, ნუმც შაგვესნება წელზედ ნაბამი კმალიო,  
ნუმც გაგიტყლება ჭერო, არხოტის რკინის კარიო!

(შან. 39.102,12—13)

ჭერის ნაწილებია: თავხე, დვირო. მაგ., თავხე ზღაპარში იხსნება: „შაი-  
ნედა ცხვრიშვილმა მალლა... ესროლა ისარი და თავხეს ზედ მიაკრა“-ო (ჩიქ.  
92), ხოლო დვირო გურულ ფოლკლორში გვაქვს:

შენ რომ სახსა აშენებდი მე მიმქონდა მალლა დვირო.

(დღ. 123.125)

ჭერის მაგიერ ზემო იმერეთში მერჩი იხსენება. მაგ., „ჭამეს თუ არა მეფემ  
და მისმ ღედოფალმა, წამოუვიდათ რქები, ერთი რქის წვერი იატაკში ჩეცსო.  
მეორე კი მერჩიშო“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 19. ს. წვევი, სევ. ვაჩეჩ.), ხოლო ჭე-  
რი სხვა გაგებითაც იხმარება. ერთ ზღაპარში ნათქვამია: „დაბა ბოსელში ჭერ-  
ზე ბაგასთან ხარები და იქიდან ზუზულენ-ზუზულენით შინ ქობში შამევიდაო“ (ძვ.  
საქ. I. განყ. IV. 43). სახურავის ნაწილია აგრეთვე ზესხენი. ერთ-ერთ ზღა-  
პარში ასეთი გამოთქმა გვაქვს: „მოჭრა ძუძუები, ჩაყრა შემოკიდებულ ქვებში,  
თითვან კი ზესხენში ევიდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს: აბა, რა მოხთესო“. (ჩიქ. 173). ზესხენი იხმარება ზემო-იმერეთში ჩაწერილ ზღაპარშიც: „გამევიდა  
ქობიდან, შეძვრა ბოსელში, მიიბარა ლანდივით ხარებთან და ბაგასთან დაუ-  
წყო ჩურჩული... იქვე ზესხენში ევიდა პატარა მწყემსის ბარკი“. (ძვ. საქ.  
I. განყ. IV. 44).

სახლის ქვედა ნაწილს შიგნიდან იატაკი ეწოდება, რომელიც ზემოთ  
მოყვანილ ზღაპარში გვხვდება. ზემო იმერეთშივე იხსენება სოხანე: „მზეთ-  
უნახავათ იქცა და ის იყო რომ დაიწყო სოხანის გვა, შემოცვიდნენ ანწლის  
ქობში დედა და მამა“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 32).

ხეცსურულ ლექსში იხსენება ქაზდარი:

შენს დას სცვაჯ ოქრო-ქსოვილი, წელთ ვერცხლის ქამარმოკრული;  
ქაზდარზედ მიბრუნ-მობრუნავს, ქალი არა სჯობს სხვაჯნური.

(შან. 245.598.8—9)

ანდა შემდეგი ლექსი:

წავიდა გულან მამუკა, მიღვა ჯარიათ კარსაო,  
ჩქარა დალა კარები თვალ-წამი ერთის ზანსაო.  
ქაზდარში მძინარს მიაწუდა ჯარიათ ნათულასაო.  
ჯერ წუნარად გამაღვიდა არ შაშინებს ქალსაო.

(გაბური, 207.15)

ხალხურ მასალებში ხშირად იხსენება დერეფნიანი სახლი. მაგ.,  
ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

<sup>1</sup> „სხენი უჭერთ სახლებში, შუა ცეცხლის პირდაპირ მალლა გაღებული ზეგბია“ (ძვ.  
საქ. I. განყ. IV. 44. შენიშვნა), ჩანს სხენა და სახურავს შორის მოთავსებული ადგილი  
ზესხენი ყოფილა.

<sup>2</sup> „სოხანე—მიწის იატაკს ნიშნავს“ (დასაბ. ნაშრ., გვ. 32, შენიშვნა).



შენი ტირიმი. შენაო, სახლი ვინ ავიშენაო?  
 ღერუფანი ვინ დაგიღვა, თარო ვინ დაგიშვენაო.

ქარქვეშაში

(ძვ. საქ. III. ტექსტუალური მხარე)

ღერუფანი სახლის გარეთა ნაწილშია დადგმული, რაც შემდეგი ლექსიდანაც შეიძლება დაინახოთ:

კნენამ გამაიძისა; მამისკოლა კბილა,  
 ის შინიამ მიგაერება, შე ღერუფანში ვსტირია.

(უშ. 273.526. კახელი, ლ. ჩერქეზიშვი. ჩაწ. 1871 წ.)

ულამაზესი ღერუფნის სახე ზალხურ ლექსში ასეა აღწერილი:

მაღაღმა ღმერთმა შენ მოგცეს აღმასის ღერუფანები;  
 ვერცხლის ეღაბობი ედგას ზედ ოქროს გასაყარები.

(უშ. 281.559. ს. მარაბდაში ნ. ბარათოვის ჩაწ.).

ღერუფანი სასახლესაცა ჰქონია, მაგ., ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია: „გადმომდგარიყო სასახლის ღერუფანზე და იქიდან უკვირდებოდა გაღმა სერზე ამართულ, ოდა-სარაიას და მის ოქროს გაღავანს“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 25—26).

ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ავი პატარძლის ჭურუბს სახლი სჯობს ხანღშიაო!

კოვხეზს ფერხული დაუხათ გარეთ ღერუფანშიო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 73.357)

ხოლო ამჟამე ლექსის 1869 წელს როინიშვილის მიერ ქართლში (სოფ. ქარელი) ჩაწერილ ვარიანტში ღერუფნის მაგიერ კარაპანია ნახსენები:

ავი პატარძლის ფოფანას სახლი სჯობს ხანღშია;  
 ჯამეზს უხათ ფერხული გარეთ კარაპანია.

(უშ. 414.1391)

საბა ორბელიანი ღერუფანზე ამბობს ფარღია სახლიო, ხოლო კარაპანი— არდგმულს ნიშნავსო; ამ უკანასკნელს კი ასე განმარტავს: „არდგმული—კალოს სახლი, კარაპანი სომხურია, ქართულად არდგმული ჰქვია კალოს სახლსო“. კალოს სახლი ზალხური პოეზიის ნაბეჭდ მასალაში არ შეგვხვებდრია, იხსენება კალოს კარი ხევისურულ ლექსში:

თოფს ისრევს ბერი ბერღია, შკედარ უწყოვ კალოს კარზედა.

(შან. 31.80, 13)

და რაჟამი (ს. ონი) 1871 ჩაწერილ ლექსში:

ღორღოშელა შკლია, ჯოჯოგნეთი რა ძნელია!  
 სამი ღღისა საჯალზედა ზედ კალოს კარი ჰყვნია,  
 შუაგულ კუპრი ამოღის, ზედ ახვევია გენია.

(უშ. 154.235)

ღერუფნის მსგავსი ნაგებობის ნაწილი უნდა იყოს გურულ ფოლკლორში მოხსენებული პარმადი ან პარმახი, რომელიც ჯარჯვალასა და ფაცხასთან დაკავშირებით გვხვდება. მაგ., კ. კალანდაძის მიერ გურიაში ჩაწერილ ზღაპარში ასეთი ადგილი გვაქვს: „ჯარჯვალას პატრონმა უთხრა: პარმალში თუ გაათევ ღამეს, თვარა ისეთ არ შეიძლებაო“ (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 48).

ერთს ზღაპარში პარმახი ფაცხის ნაწილია: „ჩემ ფაცხაში მე და ჩემი ქალი ძვილათა დაეტეულვართ და შენ საღა დაგაწვინოვო... პარმახი ფაცხი ბი და ნუ მეტყვი ვარსაო“ (ლლ. 159).

სახლის ნაგებობის გარეგანი ნაწილია აგრეთვე მოაჯირი. ი. მაგ., ხეში 1864 წელს ჩაწერილ ლექსში ასეთი ადგილი ვაქვს:

ადეა ხეშიფე გაღმადეა თავისა მოაჯირზეა:

„გლენო, თავანო, მთავანო, ვისა პალგიძთ სამსახური?“. (უმ. 15.10)

ანდა იქვე:

წვიდა და იქ ჩამოხტა მანიქს სახლოვესა,

მანიქამ გაღმოიხტა თავისა მოაჯირზეა.

(უმ. 16.10)

ხალხურ ლექსში იხსენება აგრეთვე ბაქანი, რომელიც, როგორც ჩანს, ნიდაგიდან ხელოვნურად ამალღებული ნაწილია, მაგრამ რა ნაწილია და სადაა მოთავსებული—შიგნით თუ გარეთ—ლექსიდან არ ირკვევა. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ქალო, შენმა სიფვარულმა ბაქანიდამ გაღმომადლო.

(ძვ. ხაქ III. განვ. II. 126.821)

ხოლო გამოცანაში სანთლის შესახებ სწერია:

მალა დავდექ ბაქანზე, წვენი დამის კალთაზე.

(უმ. 527.1968)

სახლსა იქვს აგრეთვე კარი და სარკმელი, რომელთა საშუალებით ნაგებობაში მყოფი ადამიანი ურთიერთობას ამყარებს გარემოსთან. კარი სახლში შესასვლელ-გასასვლელი მოწყობილობაა. ხევსურული ლექსი კარს ოჯახის მცავს უწოდებს:

მივიდა, კენსით გაღა კარი ოჯახის მცავია,

გამაუარდა ცულ-აფთრით ქალი ეფხივით ავია.

(შან. 341.42.04,41—42)

მესხეთში ჩაწერილ ლექსში კარქელი სახლის მფარველია:

—ადე ვაჟო, გაიხედე, ჩვენი აქ დეომა პნელია,

თუ აგვახრებს ერთიან, მოგვწუდება ზურგი, წველია,

თუ არა და თავს უშველოთ, გვიფარაშს სხლს კარქელია,

შევმაგრდეთ და დაუშინოთ, ტყვია-წამალი ბევრია.

(ძვ. ხაქ. III. განვ. II. 241.15)

საერთოდ ზარში კარის მაგიერ კარები იხმარება, მაგრამ ზოგჯერ კარიც ვხვდებით. კარის ნაწილია აგრეთვე ზღურბლი ანუ ზღურბლი. ხევსურულ ლექსში ნათქვამია:

ბაღლიკავ ხიმიკაურო, ლიქოკის ზღურბლო, ზღურბლო.

(შან. 45.117)

ანდა:

ამ დროს მივიდა მამუკა შაღებს ტერხოს კარსაო,

შმას ეპახს: „წამაეგებე ამ შენსა ნათულასაო!“



გარმანტა გამასელიაი, წინ-წინ აკოცებს მშასაო.

ქარქვეშაში

მემრ კი ნათულას ვაშაგვი ველ-ფურს უკოცნის ქაღალაობაში ბლნიქსეკს

ერთმანეც გაღანგეულინი ღიღანს ექუენეს ზღუზღუცეა.

(გაბური, 208.12)

კარსა აქვს კარის თავი. მაგ., ხევსურულ ლექსში ასეა ნათქვამი:

ეზიდებთან ერთ ქვასა, უნდ დავფათ კარის თავიო.

(შან. 576.542, პ. 30)

კარის თავს ზოგან საქურ დელიც ეწოდება თურმე. მაგ., თ. რაზიკა-შვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

მოშენას შეატობინეს: „ტატეს მოკპარეს ზარიო“!

მოშენამა სინქარიოთა საქურდელ<sup>1</sup> სთხლიშა თავიო!

(ძვ. ხაქ. III. განყ. II. 59.273)

კარის თავთან უნდა ჰქონდეს კავშირი ბალავერს, რომელიც გურულ ლექსში იხსენება:

სამმა მამა ბუღაძემა, ჩვენ გვაგვით ბალავერი;

თუ თორმეტი ჩამეღვეს, ის იქნება ფალავანი.

(ლლ. 26.47)

კარის თავად რომ ლოდები ყოფილა გამოყენებულდი, ამას ქართლში ჩაწერილი ლექსი გვიჩვენებს:

ჩვენის ცოფით შიწა იძრა ქრისტეშობის ცხრაშეტშა.

რომ გავიარე კარები მიშინ დამიღვა თვალები,

დამეცა ღოდის ნაპოზი, დამემტვრა მხარი, მკლავები.

(ძვ. ხაქ. III. განყ. II. 153.1029).

კარის ნაწილებია: კარის ყუენწი, რომელიც კახეთში 1863 წ. სოფ. ენისელში ჩაწერილ ლექსში იხსენება:

ასე შავაღვ კარები, ფენწში არ შეუჭრიაღვ

(უმ. 391.1187)

საკლიტე და კლიტე. რომლან საშუალებით ხდება მისი დაკეტვა:

კარი კლიტით ჩაუკეტა, საკლიტიდამ ვტყოდაო.

(უმ. 247.458. თბილისი, 1859—60 წ.).

ამას გარდა კარის შიგნიდან დასაკეტად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებას მოწყობილობას ახსენებენ. მაგ., ქართლში კარებუ-სათვის კეტის დადება სცოდნიათ:

ხიღისთავს ქვეერი მოგლიჯა, დაუღო კარებს კეტაღა.

(ძვ. ხაქ. III. განყ. II. 153.1030)

ხევსურეთში კი:

ღაცმა კარი მიჯარა, კედას მიუტღე ბს ხისას.

(შან. 341.42.9, 04.29)

რაჭაში:

დაბლა ჩავიდა სარდაფში, შავრა ადებს კარებს ძელსა.

(უმ. 221.414)

<sup>1</sup> კარის თავი (ძვ. ხაქ. III. განყ. II. 59.273. შენიშვნა)



სოფ. გრემისხევში ურდულის შენახებ გამოცანა არის ჩაწერილი.  
 ყველა მიწვევა, მოწვევა, ის იმას აწვევა.

(უმ. 527.1957) **ბიბლიოთეკა**

კარის გარედან გადაკეტვის მესხეთში ვარდაპირზე დასაწესებელია. მაგ.,  
 კონსტანტინე დიჭირეს, წელი შამოსნეს ოქროს ხმალი,  
 ცხრა-კლიტულ სხლში შეატეხს, გარედ გარდუხირზეს კარი.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 274,43)

საცხოვრებელ ნაგებობაში მეორე ღია ადგილი კარის გარდა არის საკ-  
 ვამი. ხევესტრულ ლექსში ნათქვამია:

აის ქალი ვარ, ვაჟო, გუშინ რო შენ არ გინდოდი,  
 შესხა კარსა და საკვამსა ქარივით ვევეითობოდი,  
 დაფანჯარულ ეზოთა შუქლის კვრით ვუბობდებოდი.

(შან. 150—151.380,1—3)

საცხოვრებელ ნაგებობაში მეოთხე ადამიანს თუ კარი დაკეტილი დახვდაა  
 საკომიდან უნდა გაძვრეს. ასეთი შემთხვევა ჰქონია ხევესტრ ფადიურს:

მთელს ოჯახს გასქრა თავები, დღეს ჯალაბთ, გაუფუფელზე,  
 მამრე მიმართა კარებსა ჩირაღის მანათიბულზე.  
 კარები დარჩა კლიტული, სულ შაიდვლა ცხა ფერზე,  
 მეშრე მიმართა საკომსა, სწირვეს თავის გასაფოფელზე.  
 საკომით გამვრა, წავიდა, მუქლ მატრა მიდის სოფელზე.

(შან. 477.232. ლ (023),6—8)

სახლზე თავდასხმის დროსაც თუ კარი დაკეტილია და კვირ მკვდენი, საქია  
 დან დაუწყებენ ბრძოლას. ასე მოქალაქენ მთრებელს:

კარიდან აღარ შაუშო, საკმიდან დაჭკვრენ ისარსა.

(შან. 340.42. ვ. 12)

ამავე ლექსის მეორე ვარიანტში კი საკომლე იხსენება:

საკომლით უკრეს ისარი, სისხლის პატრონი ავა.  
 თორმეტი მოხვედა მთრესელსა, დაჭვრიტეს როგორც ცხავია.

(შან. 341.42 (04) 36)

შუქიც საკვამიდან შედის ხევესტრულ სახლში, ამას შემდეგი ლექსი გვიმოწმებს:  
 მელიშნებოდა ქალადლი,—შექ დაღვა საკვამთნაო.

(შან. 138.345, 22)

ამავე მნიშვნელობისაა საკვამის კარი ხევესტრულ პოეზიაში მაგ.:

ნათულამ უთხრა: „გათენდა, აუღეთო, გავიდა კარშია!  
 მზის გრილონ შამაფარნეს, უფურელ საკვამის კარშია.

(გაბური, 208.22)

ქართულ ზღაპრებში სარკმელი იხსენება, რომელიც ისევ ბანზე არის,  
 მოთავსებული: „ქალი მივიდა და სარკმლიდან ჩასძახა დეების დედას:—დედავ  
 დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდო!... დამ უთხრა... მიველ და ჩავ-  
 ძახე ბანიდან ცეცხლი მომეცით მეთქი“ (ჩიქ. 143—144). ასევე სახლის თავ-  
 ზეა მოთავსებულია სარკმელი გურულ ფოლკლორშიც: ავი რძალი ამბობს:

მაზლი სარკმელში ჩავატე, შოი გაეჩხერე.  
 (დღ. 25.45)



ხევი 1881 წ. ჩაწერილ ამირანის თქმულების ვარიანტში უსუსუნი ტხ უსუსუნი  
 რი კარსა და სარკმელს იყენებენ დეების სახლში შესულ ამირანს ჩაწერილ  
 საწვდენად. აქ ნათქვამია:

ეს ხალი კარზედ მოუღვა, უსუსუ სარკმელში ტყოიდა.

(უმ. 5.3)

მაგრამ არსენამ

კარიღან ველარ შეასწრო, ფანჯრიღან გაღიპარო.

(უმ. 23.15)

აქ უკვე ჩნდება ფანჯარა. ფანჯარა გვერდის კედელშია მოთავსე-  
 ბული. ამის ნათელ სურათს იძლევა ერთი გვიანდელი ხეცურული ლექსი:

[სახლსა] გარეთზე ბაქოაზინსა მირგვლით ფანჯარა ულია.

(მან. 288.732,10)

ფანჯარა მზის სანათობლადაა საკირო. მაგ., ხევი, ს. სტეფანწმინდაში 1871 წ.  
 ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კარს გაღვენები შივლა, ქარმა სრა მაგის პირსაო,

გარსამო, ფანჯარაები, სანათობელი მზისაო.

(უმ. 64.70)

ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ლექსში მშვენიერა-  
 დაა გადმოცემული ბრძოლა ამ ახალი და ძველი ჩვეულებისა სახლის მშენებ-  
 ლობაში:

სახლი რო ავიშენევი, ჩემთვის შევაბი კარია,

ფანჯრები ღვატანევი, არ გაუწირე ბანია<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. III განყ. II. 166—167.1108)

ბანზე მოთავსებული საკვამის ანუ სარკმლის მნიშვნელობით ზემო იმე-  
 რეთში შეკრებილ ზღაპრებში გვხვდება საფაფურ რი. „ამ დლიდან ყოველ  
 ღამ მევიდოდა ვინცა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ჩუმათ  
 ჩამოძახებდა“. (ძვ. საქ. I განყ. IV. 2. სოფ. წვეა. სევ. გაჩეჩილაძის მიერ ჩა-  
 წერილი). საფაფური შუქის შემოსასვლელი საშუალებაცაა სახლში, რაც იმავე  
 კუთხეში ჩაწერილ ზღაპარში ჩანს: „მთვარიანია, შუქი შემოდის ძელურის  
 საფაფურიდან და ნაპრალებიდან“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 52).

გარდა ამ ძირითადი ნაწილებისა, სახლში არის მოწყობილი: ბუხარი,  
 თარო, ქირკო, ქანდარა. ბუხარი იხსენება თათქმის ყველა კუთხის პოე-  
 ზიაში. მაგ., მესხეთის სოფ. ხიზაბავრაში 1884 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

სახლო საკეთოდ ნაშენო, ზედ გამართულო ბუხარო.

(უმ. 343.985)

მოხევერში:

ზამოარს უკორდა ბუხარი, ზაფხულის გრილი ნიაგი.

(გომ. 7)

<sup>1</sup> სახურავში ბოლის (კვამლის) ასასვლელი ნახევრეტი. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 2, შენიშვნა 1)



ხევში 1876 წ. ჩაწერილ ლექსიდანვე ჩანს, რომ ბუხართან სკოლნივთ  
 ლექსობა: ქართული  
 ბიბლიოთეკა

ჩამკვლევას ბუხართან ფეხსა, ვლეუსებოდა ქალებსა.  
 (უმ. 256.175)

ბუხარს აქვს ბუხარის პირი, ხალხის დასაჯლოში ადგილი ბუხართან  
 გასათობდა. ხევესურულ ლექსში ნათქვამია:

მისჯელი ბუხარის პირშია, მანზე, მატარ-მაგარი.  
 (შან. 262.645,6)

გვაქვს გამოცანებიც ბუხარის შესახებ. მაგ., ქართლში, ხევში და სხვაგან  
 ასეთი გამოცანაა გავრცელებული:

შავი არის შაშვივითა, გალაჯულა კაცივითა,  
 ან  
 შავია შაშვივითა გალაჯულა ღათვივითა.

(უმ. 505.1675.1676)

სახლში არის მოწყობილი თარო—ჯამ-ქურტკლის შესანახი ადგილი.  
 ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

შენი წილი შექმანდი თაროზე ღვა ჯამითაო.  
 (ძვ. საქ. III. განვ. II. 176.1173)

გარე კახეთის სოფ. პატარძელში ჩაწერილ ანდაზაში ასეთი გამოთქმა  
 გვაქვს:

გესმოდეს, თარო-კედლო. პანიდან მჟურუბელო.  
 (ძვ. საქ. II. განვ. V. 89. გ. 1)

მესხეთში „ვინმე მესხის“ მიერ ჩაწერილი ლექსიც ამასვე იმეორებს:

ცას მოწყენილხა წვიმა წვიმს, გესმოდეს თარო, კედლო,  
 ქმარ-მანძინი გვერდით მისხედან, შორ გამოარე მხედველო.  
 (ძვ. საქ. III განვ. II. 264.29. IV)

თაროს განყოფილებები აქვს. მაგალითად, არის ზემო თარო და ქვე-  
 მო თარო. მაგ., ხევესურულ ლექსში ნათქვამია:

ზემო თაროს კოდნი შიდგან, ქვემო თაროს თასებო;  
 საძროხეში ფირნ მიზიან, მაგათ არ შეფერებო.

(შან. 161.414, 1—2)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თახჩა, რომელიც პირდაპირი დანიშნულე-  
 ბის მიხედვით ლექსში არ შემხვედრია, იხსენება კბილების შესახებ გამო-  
 თქმულ გამოცანაში. მაგ., 1885 წელს სოფ. გრემისხევში ჩაწერილ გამოცანაში  
 ნათქვამია:

ერთი თახჩა მაქვს, კენჭებით გამოტენილიო.

(უმ. 515.1798)

სახლის ნაწილებია ქირკო და ქანდარა. მაგალითად, ხევესურულ ლექს-  
 ში, რომელშიც ოჯახი არის აღწერილი, შემოხსენებული ტერმინები არის მო-  
 ხსენებული:

შენ დალოცვილო ოჯახო, სამ ვერჯად აშენებულო,  
 ბეგრი ნაწველო სატანო, შენ ერბოვ გაძველებულო,



დაკაღულუბო ქვაბებო, ქირჭოზე შესვენებულო,  
ქანდარავ მალლა ნადებო, ფლას-ფარდავ გაჯარებულო,  
ლაჭიქულუბო ჭურჭლებო, შიგ არავ ჩაყენებულო.

ქარქვეშაში  
ზიზღიერება

(მან. 252—253.615, 1—5)

ამ ლექსიდან ირკვევა, რომ ქირჭო ჭურჭლის დასაწყობად გამოიყენება. ქირჭოს მოწყობილობაზე გველაბარაკება მეორე ხევისურული ლექსი, სადაც აღნიშნულია:

ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ქერში რო ზეიდავ ქირჭო.

(მან. 257.630,3)

ქანდარაზე კი «ფლას-ფარდავი ყოფილა გაჯარებული». ამ აღწერილობას ემოწმება ხევში 1890 წელს ჩაწერილი ლექსიც:

ერთი ქურქიც ზომ მიზოქეს, ექამდინ მისხა ტანზეა,  
ესლა კი დამიძველდება, დავკილამ ქანდარაზეა.

(უმ. 560.94. იე)

სახლი შეიძლება იყოს რამდენიმე თავალი. გურულ ლექსში ნათქვამია:

ვორი თვალი სახლი უდგას

წინის რომ ქრა წეიქვეა.

(ლლ. 64.57)

ხევისურულ ლექსებშიც სახლის ზეთა თვალი და ქვეთა თვალი იხსენება:

ზვიადი წევსა ქალსთანა, სახელად ზქვიან თინაო.

მიაც კი მგულავ დალატი, ზვიადს თუ დეძინაო.

მკარ-გვერდზე შამაწოლილმა ფეშ ჩავიმძღვალე წინაო.

თოვ გამივარდა კარზედა, ცხენივით შამაშქეივლაო.

ზეთას თვლით ჩამოდიოდა კოკოშიაის გმინვაო.

არ ვიც თოვ მოხვდა გულზედა, არ ვიც ქალმ დიჭირაო.

(მან. 287. 730,3—8)

როგორც ჩანს, ხევისურული სახლის ზედა თვალს ქერხოს უწოდებენ:

სახლ დაგჩა კირით ნაღესი, ნადგომი ვაკის პირსაო;

კარზე ნაპამი ლურჯაი ფხვრიალებს, უცემს ცხვირსაო.

ქერხით ჩამოდის დგრაილი ნაღესი ფრანგულისაო.

(მან. 88—89.209,32—34)

ქერხო ხევში სოფ. სტეფანწმინდაში 1890 წ. ჩაწერილ ლექსშიც გვ'ვხვდება:

შავიყარნით სწორები, ქერხოს<sup>1</sup> დავსხედით სმაზედა.

ხელნი მივევით საღვინე, პირილი გვადგა თავზედა.

(უმ. 33.16)

ზეთა თვალის მაგიერ მოხევეურში ზაით სახლიც ითქმის:

ზაით სახლს ქოთანა გიდგას, ძვავი ზურია ვერძისა,

ქოთთავ გაგვიჩნულდა ჩაქუწი უნდა ზერძისა.

(გომ. 81)

ხევისურული სახლის ქვეთა თვალში დარანი არის დასახელებული. სახლს მიდგან ზუროს ნაგები, კუთხს არ დაგლიჯნათ ქვანია!

<sup>1</sup> სახლის ზედა სართული (უმ. გვ. 33, შენიშვნა 1).



ქვეთა თვალს დარან ჩაეფარენ: სუქო, თამარა დანია.  
არ ამამისხნათ ზეთის მადღობა ღამაზნი ჩემნი დანია!

(შან. 303.2 თ.15) **ქვეთა თვალს  
დარან ჩაეფარენ**

ხოლო ამავ ლექსის დ ვარიანტი, რომელიც ბესარიონ ვაბუნიანის თქმით არის ჩაწერილი, ქვედა თვალს არ ახსენებს და პირდაპირ დარანს ხმარობს:

— „შინა ვართ ბიძა-პისისწულნი, ორნი გვცანიან სხვანია,  
ბევრა დავხვეწეთ ისარი, კოდებით გვადგას წყალია,  
ქალნი დარანსი ჩაეფარენ: სუქო, თამარა დანია.  
ლაშქარო ზურაბისაო, არ მუჟყლა კარია!“

(შან. 300.2. დ. 8—11)

როგორც ლექსიდან ჩანს, დარანს კარიც ჰქონია. თვით ბესარიონ ვაბუნიანის დარანს ასე განმარტავს: „წისქვილის ძირს ძირის თვალი, რომელშიაც წყალ ვადის“ (საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი, კვესტურული მასალების ლექსიკონი, გვ. 269. დ):

კახურ პოეზიაში ქვეთა თვალს შეესატყვისება ქვევითი, როგორც ჩანს, აქ პირდაპირ ქვევითი ეწოდება სახლის ქვედა ნაწილს. რძალი ამბობს:

დედამთილს თმუბი ვაგლიჯე, ბნზედ დავფინეო.  
ნუფეს წინლი მოვანჯედრე, კარებს ვაწვეფიტეო.  
ერთი კოჭლი მაჭლი მუვანდა, ქვევით გავაგდეო.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 213.71)

ასეთივე ბედი ეწვევა რძლისაგან დაბრიყვებულ მამულს მეორე ლექსშიც:

მე რო რძალი შემეფარა, ისიც იყო თარაქმა,

მე რო ქვევით დამივალა, შუა კაცი მუეფანა,

დნჯღრეული ქობი მომცა, იმას არა ჰქონდა კალა.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 207.39)

ქოითი ეწოდება სახლის ქვედა ნაწილს მოხვევებშიც, რომლის შესატყვისი ტექსტი ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ.

ხალხური პოეზიის მასალებში გვხვდება აგრეთვე სართულიანი სახლი. მაგ., ერთ ქართულ ზღაპარში ასეთი აღგილი გვაქვს: გაიყურა და დაინახა ათსართულიანი სახლი (ჩიქ. 133). სახლის სართული იხსენება აგრეთვე სოფ. პატარა ჯიხაიში ჩაწერილ გამოცანაში მთვარის შესახებ:

სახლის სართულზე ჯამის ნატენი ძეგს.

(უმ. 521.1882)

სახლს აქვს ნაწილები: სახლის თავი, ყური || ყურე || ყურია, ზემო თავი, კუთხე, შინა, გარეთა წინგარდა და სხვ.

სახლის თავი იხსენება ზღაპარში. მაგ., „გამოისროლე ეს მშვილდი... რომა ჩემი სახლის თავი ოთხი თითის დადება გაიტანოს თანა“ (სიხ. 191). სხვა ქართული ზღაპრის მიხედვით სახლს ჰქონია აგრეთვე ოთხი ყური, მაგ.: „დათვკაცამ ასწია სახლის ერთი ყური და შეუდგა დევს მხარზე, ასწია მეორე და მეორე დევს შეუდგა, მესამე—მესამეს და მეოთხე—მეოთხეს“ (ჩიქ. 86). ზოგან



სახლის ყურე არის ნათქვამი, მაგ., „გლეხი რომ შინ მივიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუზა და ლაპარაკს ყური დაუგდო“ (სიხ. 136). ყურე ხევსურულ სიტყვებშიც გვხვდება, მაგ.:

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში ველანია!  
.....  
ზემოთ ყურეს ლოგინაი, საცა უფრო ბნელანია!  
(შან. 636.435. ვ)

ამავე ლექსის სხვა ვარიანტებში ყურია და ზემო თავი იხსენება:  
რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში პელანია!  
.....  
ყურიაში ლოგინაი, საცა უფრო ბნელანია!  
(შან. 536.435. დ)

ან  
რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში პელანია!  
.....  
ზემო თვალში ლოგინაი, საცა უფრო ბნელანია  
(შან. 536.435. გ)

სახლსა აქვს კუთხე. მაგ., ხევში (ს. სტეფანწმინდა) 1881 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კუთხი გამიონეს ცეცხლანი, კერაჩივ ნულარ ხარიო,  
(უმ. 226-417)

ქართლში ჩაწერილ ლექსში ოთხი კუთხე არის მოხსენებული:  
ღაწვა ფიწალი ორთითი, ცეცხლი დაანთო გულიას,  
ოთხკუთხივ ბოლი ამოდის, დახე დაწვეღრა სტუმრისა.  
(მე. საქ. III. განუ. II. 106.626)

სახლსა აქვს შინა და გარეთა. მაგ., კახეთში ჩაწერილ ლექსში, რომელიც უკვე ზემოთ მოვიყვანეთ, ქალი „შინი და მ“ უჯავრდება დამნაშავე ქმარს, რომელიც დერეფანში ტირის. გარეთი კი უველა კუთხის ლექსებში გვხვდება. მესხეთში „გარეთ კარის გარდაზირზეა“ ხდება, ქართლში „გარეთ კარაბანია“, ხევსურულ სახლს „გარეთ ბელონი“ აქვს და სხვ.

შინაში არის კიდევ შიგნით შიგანი, ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

სარტყელში ზელი ჩამავლო, შიგნით შიგან შემოიფანა.  
(მე. საქ. III. განუ. II. 125.808)

ამავე გაგებით უნდა იყოს ნახშირი ხევში (ს. სტეფანწმინდა) 1890 წელს ჩაწერილ ლექსში: შინ და შინ:

ვიკითხე კორაის ხსელი, — ზედ მიმიყვანეს კარზედა,  
შინ და შინ შამიპატიყეს, დამსვენს სამარტო უკამზედა.  
(უმ. 34.16)

სახლის ნაგებობის გარკვეული ნაწილია შიგნართა ან შინგარდა, რომელიც ხევსურულ ლექსებში არის მოხსენებული, მაგ.:



ქართული  
ნიპონიონიკა

ა ბეჩინა, ბაბალო, რამთვენ ბეჭდებ ღაიჯარა!  
შენი ღრო სო კაცს აღარ აქვ, ღობილი გუფ მაროჯანა,  
გუშინისა წინგართაზე შუა პანზე გედგა ჯარა,  
ერთ რო სიმღერეს იტყოდით, სწო იმას რო აიჯანა.  
ჩემვე თვალს არ ღაიცემენ, მაშ რა ვქნა, რო არ ვიჯავარა?  
(შან. 159.405)

ზოგან წინგართას ნაგიერ წიგნარდა გეაქეს, მაგ., შემდეგ ლექსში:  
ჭაბუკათ ჩაჩაურასა დავლათ დაჯდა შქარზედა.  
მაკულავ მამის მამკლავი, მკვლარ უწევს წინგარდაზედა.  
(შან. 31—32.80,15—16)

საქიროებისა, ანდა შესაძლებლობის მიხედვით, სახლს შეიძლება სხვადა-  
სხვა განყოფილებები ჰქონდეს. იხსენება საწოლი, სათიობო, საბნელო,  
სამრელო და სხვ.

საწოლი საძილედ განკუთვნილი განყოფილებაა. მაგ., ხევსურულ ლექსში  
ნათქვამია:

ადგიან, წამვიღიან გაგაის შუქარზედა,  
.....  
საწოლთ მასველვენ გაგასა, ვეფხეს სძინებოფეა მკლავზედა.  
(შან. 31.80,2—5)

საწოლის როგორც ავეჯის მნიშვნელობით ხევსურეთში „ლოგინი“ იხ-  
მარება. მაგ., იქ გვაქვს:

ოთაღი არქელასა ედგა ღოგინი ტრელოო,  
(შან. 155.397,7)

ამიტომ საწოლს სხვა გაგება უნდა ჰქონდეს. საწოლი იხსენება ქართლში ჩაწე-  
რილ ლექსშიც:

ათასი იქავ ჩაკავა განჯის გალავნის წინაო,  
ასე შევიდა საწოლში, თითქო ფოფილა შინაო-  
(უმ. 123.197)

საწოლს გარდა, სახლის განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილებაა  
სანთიობო, რომელიც ახლად ჯვარდაწერილთათვისაა განკუთვნილი. მაგ.,  
ზემო იმერეთში (ს. წევა) სევ. გაბრიელაძის მიერ ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია:  
„გვიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთიობოში<sup>1</sup>. მიხურა მეფემ  
სანთიობოს კარები“ (ძვ. საქ. I. განყ. IV. 8), ან კიდევ იქვე, „პიკიტალადან  
შეიხედა სანთიობოში ერთმა გადიამ“ (9).

გლოვისათვის განკუთვნილი ადგილიც არის საცხოვრებელ ნაგებობაში,  
რომელსაც საბნელო ეწოდება. მგლოვიარენი „საბნელოში ჩასხდებიან“. მაგ.,  
ხავსურულ ლექსში ნათქვამია:

ნუ სკედები, გორვლავრო,—მარტო ხარ, არ გიძღებისა.  
მამასა ურჯუკაისას მზე უდგას, უხნელღებისა,

<sup>1</sup> ახლად ჯვარდაწერილთათვის საცლთარი ოთახი (ძვ. საქ. I. განყ. IV. შენიშვნა 3).





თორ ღელა ბუბერ სყოლია, ცვილის სანთლები სდნებისა.  
 დანი სახნულოდ ჩაუსხდეს, ფარაგთით იზოშებისა.

ქართული  
 (შან. 114.253, 14)

თუშეთის გმირ განა ქოთილაიძეზე ნათქვამ ამგვარსავე ლექსში ბნე-  
 ლეთი არის ნახსენები:

განასა ღელა ბეჩაი ბერი ბნელეთსა ჯდებოა.  
 პრაღია განას დიაცი სანთელივითა დნებოა.

(ძვ. საქ. II. განუ. V. 6.16)

სახნელო ქართლურ ლექსებშიც იხსენება. 1863 წ. ჩაწერილ ლექსში ნათ-  
 ქვამია:

მამას წიგნი მოუვიდა—ანდუფაფარ მამკედარაო  
 . . . . .  
 დედამისი მარიამი სახნელოში დამკედარაო.

(უმ. 264.491)

ქართლშივე ასეთ სახლს ბნელური სახლი ეწოდებოდა. მაგ.:

ეთერო, შენის ნლომითა წოხა გავევითე ძველური,  
 მაინც ვერ დამმედურები სახლი დიდგა ბნელური.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 193.1283)

არსებობს საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით ქალის დროებითი სა-  
 ცხოვრებელი ნაგებობა სამრელო (ხევსურეთი). სამრელოში ქალი იმყოფებოდა  
 „ღდებთ წესის მოხდის“ დრომდე. სამრელოში მყოფი ქალი „ჯალათთაგან, და-  
 ცილებულ-გაწირულია“. მასთან არაფინ მიღის, ლექსში ნათქვამია:

სამრელოს ქარში ჩამავჯე, გამზრალი ორ; გაფიხული,  
 აღარც ჯალათ მამიგონეს დაცილებულ-გაწირული.

(შან. 139.348, 1—2)

ანდა სამრელოს ქვების სახლში შეტანა საშინელებად ითვლება. მაგ.:

უშაირებაჲ ქმრულთა გუშინ მოსული ზადია,  
 ნათეტვარში მცხოვრებმა თვეზე წაიკრა მწვარი,  
 გამოსურნადი შატალსა, გაქე აჭაიან ბანია.  
 გამაუშლივის ფორგი, სუროდ კირილე ზევანია.  
 შაუსხნა გვზის ბოლოსა სამრელოს ფორის ქვანია.  
 ამას იფიქრებს ზელოა: „სახლში მიზინავ ჯვარიავ“  
 ამაგის მალექსებელი განმა კანუას ქალია.  
 გამიგონებენ ქმრულნი, ჩემს ენა-პირზე ქვანიავ.

(შან. 270.668)

ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ლექსში საბოლოსო ქოხი იხსე-  
 ნება:

მაგის სამეოფოს სახ-კარსა საბოსლო ქოხი სჯგობია,  
 შინ რო მიუვა სტუმარი, პურსაც ვერა სქამს ცოდვითა,  
 ღათამაშობენ თაგვები, ფხაწი-ფხუნუი დვა ზოკარისა.

(ძვ. საქ. II. განუ. IV. 340.—341.37)

თუშეთში საცხოვრებელი სახლის მნიშვნელობით ბელელი უნდი იხმარე-  
 ბოდეს. მაგ., ივ. ბექურაულის მიერ ჩაწერილ თუშურ ლექსში გვაქვს:



თუშნი და ლეკნი ომობენ აქვერის სოფლის პირსაო;  
სისხლისა ლვარი დაბრუნდა, დადგა სოფლისა პირსაო;  
ლევთ ზოცავს მანჭარაული, მარჯვენას არა სჭრისაო,  
აქვერელთ ღიაც-ფშაწვილინი ზელლით გამოუღისაო,  
აქვერელთ ცხვარ-პაროვანი თუშეთში გადმოღისაო.

(ქვ. საქ. II. განყ. V. 41.67)

ზემოსხენებულ კრებულში, თანდართულ დ. კარიჭაშვილისა და ივ. ბე-  
ქურაულის მიერ შედგენილ თუშურ ლექსიკონში, ბედიელი განმარტებულია რო-  
გორც საზამთროსახლი (ქვ. საქ. II. განყ. V. 130).

ცნება „სახლ-კარის“ პირველი ნაწილის შემადგენელი ნაწილების დაბა-  
სიათების შემდეგ, საჭიროა განვიხილოთ „კარის“ გაგება ხალხური პოეზიის მა-  
სალებში.

კარი ეზოს გაგებით უნდა იყოს ნახშირი ხეცურულ ლექსში:

ნაღობის კარზე შამაგვე, კართაზე მამიეს თვალნიო.

(შან. 147.367,2)

აქ ნაღობის კარზე ნიშნავს ნაღობის ეზოს, ხოლო კართაზე ნაგებობაში  
შესასვლელ კარს. გურულში კარია ისევ ეზოს უნდა უდრიდეს, მაგ.: „შარშან  
ჩემი შვილი ცხენს გაიპუნებდა და წროულს კარიბზეც ვერ გადაიარს“-ო.  
(ქვ. საქ. III. განყ. II. 304. შ. 2).

ეგებ ზემო იმერეთში ჩაწერილი „ქოხის ბაკეც“ ქოხის ეზოს ნიშნავ-  
დეს. ერთ ზღაპარში ნათქვამია: „ეს საწინელი სანახაობა, პირდაპირ შეგარდა  
იმ უნცროსი ძმის ქოხის ბაკეში“-ო (ქვ. საქ. I. განყ. IV. 48).

ეზო შენორღუდულია ღობით, მესერიით, ყორეთი, ღობე-ყორე-  
თიანგალავანიო. თერთ ზღუდეც იხსენება ლექსში, მაგ.:

ბაღლიავ ზიმიკარო, ღიქოკის ზღურბლო, ზღუდეო.

(შან. 45.117)

ზემოიმერულ ზღაპარში კი ნათქვამია: „უშველებელი ეზო-მიდამო  
ღობით იყო შემოვლებული“ (ქვ. საქ. VI განყ. VI. 30). ღობე ქართლში ჩაწე-  
რილ ლექსებში გვხვდება; იგი მრავალნაირი მასალისაა: ძეძვი, ჯარჯი,  
ქაცვი, სარი, წნელი და სხვ.

ღობის კეთება შეიძლება ღობის ავლებების წესით. მაგ., ქართლში  
თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვხვდება:

მინდონსა ბალი ვაშენე, ღობე ავავევ ჯარჯისა,

კარები ვაბი კაღისა, ამჟოლი ალუბაღისა.

(ქვ. საქ. III. განყ. IV. 108—109.652)

შეიძლება აგრეთვე ღობის წნელით დაწვენა: ვაძა-ფშაველას მიერ  
ფშავეში ჩაწერილ ლექსში გვაქვს;

ღობე რა ნაქარს დაიჭვრს, ღობეა წნელით ნაწნავი.

დაქროლენებს, შაიკუნებეა, რო ნაშაღაიხ ბაწარი.

(ქვ. საქ. II. განყ. IV. 340.36)

ზემოიმერულ ზღაპარში ღობე-ყორე იხსენება: „თხებივით დარბოდ-  
ნენ გზა-კვალ აბნეულები და ღობე-ყორეს ედებოდნენ“-ო. (ქვ. საქ. I. განყ. IV.  
12). მოხვეწურ ლექსში კი ყორე გვხვდება, მაგ.:



ხევით წამანვე ლომგულო ბაბუკის ნათელიყო,  
ხევსურეთს გადაეპართე.....  
ფორის კარს ცხენი დამიდგა, ფორანი ხეფელა ფორასა.

ქართული  
ბიბლიოთეკა

(გომ. 24)

ხევსური ბესარიონ გაბურიც წერს: „იღებს ერთ ქვეს და შაშვენჯავს ცულისყუითყორეში... შემრა გაუშობს შაჯენჯულ ქვეს ყორეში“. (გაბ. 149.7—9).

გურულ ზღაპარში მეცხერი იხსენება. მაგ., „ვაქარა ცხენი იქვე მიაშბა მესერაზე“ (ლლ. 159), ან „დღინახა, აქანაი დგანა უშველებელი შენობა, რომელსაც შემორებული აქ იმფერი მესერაი, რომე რავე ჩავე შით რამე!“ (ლლ. 156).

საცხოვრებელ ნაგებობას გაღავანსაც ავლებენ. მაგ., ზემოიმერულ ზღაპარში ნათქვამია: „ააშენოს ოდა-სარაია, გარშეშო შემოავლოს გაღავანი და მერე გამიბედოს სიძობა“. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 25).

საინტერესოა ხევსურულ ლექსში მოცემული ეზოს აღწერილობა:

შენსა კარსა და საკვამსა ქაროვით ვეცეთიბოდი,  
დაფანჯარულ ეზოთა მუქლის კერით ვუბობდებოდი.

(შან. 150—151.380,2—3)

დაფანჯარული ეზო ნაგებობასთან დაკავშირებული ტერმინი უნდა იყოს. ეზოს აქვს ეზოს კარები. მაგ., კახეთის სოფ. ვაჩნაძიანში 1870 წ. ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

აღმართი ამოფირბინე, ერთი არ დამისწენსა.

ეზოს კარვზე მოვედი,—ვაიმე ღელავ წელსა.

(უმ. 264.492)

ანდა 1878 წელს ხევში ჩაწერილ ლექსში:

აღექ და ჩემთან წამოდი, გაღმოიარე ბნები,

გააღე ჯერ ეზოს კარი, შემერე ოთახის კარები.

(უმ. 319.806)

ეზოს კარს კიჰკარი ან კიშკარიც ეწოდება. მაგ., ქართლში თ. რა-ზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

კახელა ბიჭის ღელაო შეჯდება კურღელღელაო.

.....

გაღმოფარება გასკება ზელ შუა ჭიჭკარზელაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 67.321)

გურულ ფოლკლორში კიჰკარის ჩასაღვალი არის მოხსენებული. „ნფემ უჩვენა სტოლბა კიშკარის ჩასაღვალს:—ჯერ ეს უნდა დაანტრიო“—ო. (ლლ. 257). გურულ ლექსშივე ვხვდებით კიშკარის კარს. მაგ.:

მიღის სიძე, შამაული, გააღენ ჭიშკარის კარია.

(ლლ. 73.95)

##### 5. საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი

საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური მასალის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ბანური და ცადაქნილი. ბანური ჯგუფისაა: ა) სწორე

3. ს. ბედუყაძე, საცხ. ნაგ. ხალხ. პოეზიაში



ბანი და ბ) გვირგვინიანი ბანი ანუ დარბაზი, ხოლო ცადაქნილის ჯგუფისაა: ა) საბძღური, ბ) კუნძულიანი ანუ დახვეულ სახურავიანი და გ) ლაქაქანიანი ველი დაჯგუფებიდან ხალხური პოეზიის ნაბეჭდ მისაღებში იხსენიება. ბანი დარბაზი, ხოლო მეორე დაჯგუფებიდან: ოდა, პალატი-ოდური, ქობი, ფაცხა, ჯარგვალა, ფანჩატი.

ბანი, როგორც საცხოვრებელი ნაგებობის გარკვეული სახეობის სახელწოდება, ყველაზედ კარგად ხევსურული პოეზიის მისაღებში არის შენარჩუნებული. მაგალითად, ლექსი:

როშეას აწიწეს ციხენი, ზღოს ბანნი ქვიტყარისანი.

(შან. 3.8.8)

ამჟამად გვეუბნება, რომ ბანი ქვიტყარის ნაგებობაა, რის დამადასტურებლადაც, დამატებით, თვით მისივე ვარიანტის ნაწყვეტი გამოგვადგება:

როშეას ატირღეს ციხენი, ზღოს ხსენი ქვიტყარისანი

(შან. 308.8 გ. 2)

აქ სახლი სცელის ბანს, როგორც სრულფუნქციანი შესატყვისობა. მაგრამ მართო ხევსურეთით არ უნდა შემოისახლებებოდეს ისეთი გაგება. ხევში, სტეფანწმინდაში, 1884 წ. ჩაწერილ ლექსში, ბანი პირდაპირ სახლის მაგივრად იხმარება და სახლ-კარის მაგივრად ბან-კარს ამბობენ:

ქალი ქისტო ჯობს ხევსურსა, ვაჟი ორსოვალელი.

სამდევრად გუდამაყრელი, თავის ბან-კარზე-სწველი.

(უმ. 435.1602)

ხევსურულ პოეზიაში ბანი არა თუ განსაკუთრებული სახის საცხოვრებელი ნაგებობაა, არამედ საერთოდ საცხოვრებელი სახლის ზოგადი სახელწოდებაც ყოფილა. მაგ., სრულიად ახალ გემოვნებაზე აშენებულ „ექიმ კირილეს“ სახლსაც ბანს ეძახიან:

გამოხერხავდი შატლოსა გაქვ ატყვიან ბანია.

გამაშულაფის ფორეი, ხუროდ კირილე ხეფანია.

(შან. 270.668,3-4)

საინტერესოა ერთი უთარაილო ხალხური ლექსი, სადაც ბანი აგრეთვე მთელ ნაგებობადაა მოხსენებული:

წვიდუნენ, ფხვენისს მიუსტუნენ იმ ნიკოლოზს დედელსაო,

ბანის კარზე გააღეს, სო ქვევრიც ახაღესაო,

ღვინო ძალიან დაღიეს, ძალიან დაითვრესაო.

(უმ. 81.98)

აქ თითქოს ბანი მარნის გაგებითაა ნახშარი.

ბანი უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებული სახეობის საცხოვრებელი ნაგებობის სახურავს ეწოდება და ეს სახურავი ანსხვავებს სწორედ მის მატარებელ ნაგებობას სხვა სახის ნაგებობათაგან.

<sup>1</sup> ნაგებობათა ცალკეული ტიპების აღწერისთვის ტერმინები: საბძღური, კუნძულიანი და ლირისანი პროფ. გ. ჩიტიას ნაშრომის მიხედვით გვაქვს აღნიშნული. (გ. ჩიტია, საცხოვრებელი ნაგებობანი ბანის-წყლის ხეობაში. მოხსენება 1944 წ. ხელნაწერი).

<sup>2</sup> ქობი ხშირად პირველ დაჯგუფებაშიც გვხვდება.

ბანის როგორც სახურავის გაგება ზღაპრებშიც (და ლექსებშიც) მრავლად გვხვდება. მაგ.: „ისარი ღვეების სახლის ბანზე მივიდა, შიგნით მისი შვილი, წვერი სახლში ჩააჩინა“ (ჩიქ. 92). ამას გარდა გვხვდება კიდევ უფრო სწორად მნიშვნელობით გაგებული ბანი. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

მაგრა დაკეტეს კარები ბანიდან ამოქვევრია,  
ვესტე პნელსა ღამესა, ზოსელს ვერ შივაცენია.

(ძვ. საქ. III. განგ. II. 89.472)

ანდა:

ხანლი რო ავიშენევი, ჩემთვის შევაბი კარია,  
ფანჯრები ღვატანევი არ გაუწიო ბანია!

(ძვ. საქ. III. განგ. II. 166.1108)

უმეტესად კი ლექსებში მოხსენებულია ბანზე „სერნაობა“ (შან. 78.187,3), ბანზე საკმობა, შაირობა. ქალ-ვაჟთ შებგედრა, ერთურთის თავის მოწონება (შან. 159.405,3) და სხვ.

ბანს აქვს ბანის გვირგვინი. ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

უნი სესნია ჩვენცა გვუვს,  
ბანის გვირგვინზე წვებაო,  
ღამე გაჭეფავს მინდოზა,  
ნადირი ვეუღლებო.

(ძვ. საქ. III. განგ. II. 64.300)

ხევესურულ ლექსში კი შუა ბანი არის დასახელებული:

ტუშინისა წინგართაზე შუაბანზე გედგა ჯარა.

(შან. 159.405,3)

ამავე კუთხეში ჩაწერილ ლექსში გვხვდება ბანის წვერი.

სერნაო ზირცხვილიანი გასცვიოე ბანის წვერიო.

(შან. 235.570,6)

აქ ბანის წვერი მთელი სახურავის გაგებითაა ნახმარი და ბანი კი მთლიან ნაგებობადაა გააზრებული. ერთ ქართულ ზღაპარში ბანის თავი განსაკუთრებული ადგილია სახურავზე. მაგ., „ისარი ღვეების სახლის ბანზე მივიდა, შიგნით მისი შვილი, წვერი სახლში ჩააჩინა“ (ჩიქ. 92). აქ უკვე აშკარა დაჯგუფებაა მომხდარი: არის სახლი, სახლის ბანი და ბანის თავი, რომელიც ალბად ბანის გვირგვინს უდრის.

ბანის, როგორც სახლის სახურავის აღმნიშვნელი სიტყვის მაგიერ ხშირად გვხვდება ტერმინი ერლო. მაგალითად, ერთ ქართულ ზღაპარში ასეთი ადგილი გვაქვს: „ერლოზე გადმომდგარა ქალი და ძაფს ართავს“ (ჩიქ. 137). ქართლში ჩაწერილ ლექსში ერლოს ასეთივე გაგება აქვს:

ცოლი ლაშქარში წასულა; ქმარი ერლოზე ცლინავსა.

(ძვ. საქ. III. განგ. II. 43.190)

ამავე გაგებით უნდა იყოს ნახმარი ერლო ზალხური ეთერიანის ხევში (სოფ. სტეფანწმინდა) 1890 წ. ჩაწერილ ვარიანტში:

ეთერი ერლოს შემოდგა, ფიცარი შესძრა, ფავარი.

(შმ. 159.238)



ერდოს გაგების შემთხვევაშიც ხალხში აღინიშნება იმგვარივე მოვლენა, რაც კარისა და ბანის ირგვლივ; ერთი მხრივ ხდება მისი ფართობის შემცირებით ხმარება, მაგ.:

წაქეზე შოლად ლეკობა, გვიტყვენ ერლო-კარსაო.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 239.3)

და მეორე მხრივ მისი ვიწრო გაგება:

მზეო, მზეო, გამოდი, ჩვენს ერლოში ჩამოდი,

მიანათე პაქებას, ცხვარს დაგიკლავ მაკესა.

(სიხ. 49.57)

აქ ერლო არის სახურავიდან მზის შუქის ჩამოსასვლელი ადგილი, საინტერესოა ქართლში 1870 წელს ჩაწერილი ლექსი, სადაც ნათქვამია:

შენ ღამაზო, მოგისდება ერლო-ბანზე სიარული.

(უმ. 296.616)

აქ ერლო და ბანი გაიგივებული მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

ბანს შიგნით ნაგებობის შუა ადგილას მოწყობილია კერა ა. იმას მესხეთში ჩაწერილი გამოცანა გვიჩვენებს: „ვზივარ შვაში, არ მაქვს ფასი, დამცქერია ყველა თვალში“. (ძვ. საქ. III. განუ. II. 311.26). შემდეგ ხევში 1881 წ. ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კუთხნი გამოიხნეს ცეცხლანი კერაჩივ ნულარ ხაროო.

(უმ. 226.417)

იმერეთში ჩაწერილი გამოცანის მიხედვით კერა ზეზე ამართული მოწყობილობაა: „ყველა დაწოლილი არის, ყუნცულღვი ზეზე არის“. (უმ. 515.1803).

კერასთან ერთად იხსენება დედაბოძიც. დედაბოძი საცხოვრებელი ნაგებობის შუა ადგილზეა მოთავსებული. მაგ., სოფ. ვაქირში ჩაწერილ ზღაპარში ნათქვამია: „დაიწყო ახალი სახლი: აშენება, როდესაც შუაზედ დედაბოძს აკეთებდნენ... უთხრა: ამ დედა-ბოძში კარები გაუკეთეთ, შიგნიდან გული სულ ამოიღეთ, კარებს ჩასაკეტი ჰქონდეს და გარედან არ ემჩნეოდესო“. (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 76). დედაბოძს შემოუვლის სახლში პირველად შესული ახალი პატარძალიც. მაგ., ქართლში ასეთი ლექსი გვაქვს:

სოფლის ბოლოს რომ მივდი, ხანლი ვიკითხო,

დღამთილი მომგება, ტუჩი უბრიქვო,

დედაბოძს შემოუარე, ქილა გავტყვო.

(უმ. 213.387)

ლექსის მეორე ქართულსავე ვარიანტში პატარძალი კერას შემოუვლის, მაგ.:

პატარა პატარძალი ვარ

შემომატარეს კერასა.

(ძვ. საქ. III. განუ. II. 73.354)

საკუთრივ კერა ეწოდება სახლის შუა ადგილზედ ქვებით მოწყობილ, ანდა ლითონისაგან გამოქვილ და შუა ადგილზედ დადგმულ ნაწილს, მაგ., ერთ ხეცურულ ლექსში ნათქვამია:

არცა-რა კარგი იმან ქნა, ვინც ოქრო დაღვა კერადა. **ქარქვეშელი**  
(შან. 281.706, ჭიბჭილიძე)

რაც იმის მაჩვენებელია, რომ კერა ლითონისა შეიძლება დაიდოს, ხოლო  
კერა რომ დგას მიწის ზემოთ, შემდეგი ლექსი გვიჩვენებს:

მე რო მაგათ შელღს შავესწარ, მაგათ ფარ-ქმლების ჯღერასა

•••••  
ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სსვა ეზიდების კერასა.

(შან. 226.545, 21-24)

კერის ქვედა ნაწილს ყვერ ფი ეწოდება ხევსურეთში. მაგ.:  
ორიოდ-სამი ჭურჭელი დალაღ ჩამადგა ყვერუშა.

(შან. 592. 546. ბ, 22)

ხევსურეთშივე იხსენება ყვერ ფ-კერა. სიკვდილი ამბობს:  
ღღეწრა მკარს თუ არა მჭერს, ვერ შიოდ ყვერუ-კერაზედა.

(შან. 210.520, 36)

ყვერფთან უნდა ჰქონდეს კავშირი გურულ ფოლკლორში დაცულ ტერ-  
მინს ყვებური. ერთ ლექსში ნათქვამია:

წელზე ქიღია დამაჩა, ფხარზე ნათეხარი ლეკური,  
ოღათ დავიწვია მშანები, იმისი ფაცხა, ყვებური<sup>1</sup>.

(ღლ. 73.95)

კერაში ანთებული ცეცხლიდან ბოლი აღის აყარა ში. აყარი იხსენება  
ქართლში ჩაწერილ ლექსში:

ცეცხლო, ვენთე, ვენთე, ბოლო, შენ აღი აყარსა?

(ძვ. საქ. III. გან. II. 105.618)

საბა ორბელიანის განმარტებით: „აყარი სხუენის ლატანი, გინა საკიდ-  
რისა“ არის.

კერას აქვს კერის პირი. ხევსურულ ლექსში ასეა ნათქვამი:

ველო გქონდან ტარ-ნამტენანი, ჩამოსჯდა კერის პირსაო.

(შან. 100.223, 48)

სახლში არსებობს აგრეთვე კერას უკანა ადგილი. ქართლში ჩაწერილ  
ლექსში ნათქვამია:

ნათლიღდა გაჯავრება: „ნეტა რისთვის მიდიოდა თვალი მასაც დაუღება!“  
შეიწვევენ ნათლიასა, კერას უკან დაბრმანდება!

(ძვ. საქ. III. გან. II. 33.117)

ხალხური პოეზიის მასალაებში იხსენება აგრეთვე დარბაზი როგორც ნა-  
გებობა. დარბაზი ისეთივე ბანური ნაგებობაა მისი დამახასიათებელი კერით,  
როგორც მიწური ბანი, ოღონდ მისთვის აუცილებელია გვირგვინიანი სახუ-  
რავით იყოს მოშენებული. დარბაზს რომ ბანის მრავალ დამახასიათებელ ნა-

<sup>1</sup> ავტორის მიერ ყვებური განმარტებულია როგორც შუა ცეცხლის დასანთები ად-  
გილი სამხარელოში. (იხ. გურ. ფოლკლორი I, თბილისი, 1937, თანდართ. ლექსიკონი.

<sup>2</sup> „კერა — კერის თავზე ბუჩქებში რომ ღრვი გამოქვლი ლატანია გაყრილი, ზედ საკიდ-  
ელია ჩამოკიდებული“. (ძვ. საქ. III. გან. II. 105. შენიშვნა).



წილში კერა აქვს და მის პირდაპირ კვამლის ასახველი, ამჟამად კვამლის  
 ლად შეიძლება მესხეთში ჩაწერილი ლექსი გამოგვადგეს: **ზიზღილი**  
 ღრუბლიან ღლეს დარბაზს შინაც კვამლი არ აღის, კერას ხჩის,  
 ამ წუთისოფლის ავ-კარგი ზევრსა ახარებს, ზევრსაც ჰსჯის.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 265. IV)

ხალხურ მასალაში ვხვდებით ასეთ სტრაქიონებს: რას თხოვნილობ?—ცოცხს  
 ვთხოვნილობ.—ცოცხი რათ გინდაო?—დარბაზს დავხვეტაო.—დარბაზი რათ  
 გინდაო? ყაჟ-აბრეშუმს ვაკეთებო. (სიხ. 67.103).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხურ პოეზიაში დარბაზს უმეტესად  
 მაშინ ახსენებენ, როდესაც ხალხის სიმრავლეს უნდა გაუსვან ხაზი. მაგ., ხევ-  
 სურნი ამბობენ:

დარბაზს ვისხვით ჰვესურნი, ღიღ გვედა საუბარიო.

(შან. 360.48. ლ, 6)

სამეგრელოში (სენაკის მაზრა, სოფ. კლდედიმართი) 1871 წელს ჩაწე-  
 რილ ლექსშიც ნათქვამია:

დარბაზს შიგნით შემოვივანეს, ქალები ვნახე ბრველია.

(უმ. 331.861)

დარბაზი „აზნაურებით სავსე“ (უმ. 342.983. მესხეთი, სოფ. ხიზაბავრა,  
 1884 წ.) ან „დარბაზლებით სავსე“ (ძვ. საქ. III. განვ. II. 104.600. ქართლი,  
 თ. რაზ.) და სხვა ამგვარი ძლიერ ხშირად გვხვდება ხალხურ ეპოეტურ ვა-  
 მოთქმებში.

მოგვეპოვება ცნობები მალალი წოდების წარმომადგენელთა დარბაზების  
 შესახებ. მაგ., სასახლესთან ერთად ახსენება სადარბაზო. ქართლში თედო  
 რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

სასახლე და სადარბაზო ვედა ოქროს ბოძებზედა.

(ძვ. საქ. III. განვ. II. 35.119)

დარბაზი უნდა იყოს ლამაზად აგებული. დამწუხრებულ ეთერს გამხი-  
 არულების მიზნით სთხოვენ ნახოს მისი დარბაზი თერმუხანის აგებული (უმ.  
 159.238). ხევში ჩაწერილ ლექსში იხსენება დიდ დარბაზი და კარნი  
 დიდისა დარბაზისანი.

გათუნეს. კარნი გვეზენეს ღიღისა დარბაზისანი,

გავიღენეს, გაბურთვეს, ბურთი ვერაფერს გაილა.

(უმ. 556.50. ბ და გ)

ხალხურ ეთერიანში არის ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც დარბაზი  
 ქვემოთ არის და ჩარდახი მაღლა. მაგ.:

დავაგდებ ჩარდახობას, ჩამოვალ დარბაზობას.

(უმ. 158.238)

აქვე უნდა ვახსენოთ ბანის ბანი სეხლი, რომელიც განსაკუთრებული  
 ხასიათის კეკელუცი შესახებდამობის ნაგებობაა. იგი იხსენება კახეთში ჩაწერილ  
 გამოცანაში სამოთხის შესახებ:





მამამან სახლი ამიგო, კველუცი ბანის ბანიოა,  
გრძელი და ცამდის მალალი, სიგრძე და მისი განიოა,  
შაველ, გამოველ სიცილით, სიმღერით, ბანის ბანიოა,  
ის დამიქცია სატანამ, შე ვარ მას აქეთ ნანვიოა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

(უმ. 527.1965. კას. 1871 წ.)

ვარიანტებში დამატებით იხსენება: ა) დოღია ცამდინ მალალი და ბ) მამამან სახლი ამიგო მალალის ბანის ბანიოა.

გვაქვს ქართლში ჩაწერილი ლექსი:

შე ბანი ბანად გაღოფეფე, გაღოფინეფე სვეტადა,  
შე, ტურფავ, შემშვენიერე, თქვენს ამხანაგად შეწადა,

(ძვ. საქ. III. განუ. II. 124.807)

სადაც „ბანი ბანად“ სწორედ ბანის ბანს შეიძლება ნიშნავდეს, სვეტებით აგებულს, მაგრამ ეს ლექსი უნებურად გვაგონებს ადგილს ხალხური ეთერიანიდან: „შე ბანი ბანად გეძებდი შენ ბალი ბალჩად გეძინა“, სადაც ბალი ბალჩას მსგავსად შეიძლება ტერმინის გაორმაგება ვიგულისხმოთ, თუმცა არც აქაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ პირველად იგი სწორედ ბანის ბანი სახლის გაგებით ყოფილიყო მოცემული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასახლესაც ბანიანი სახურავი აქვს ზოგიერთი ზღაპრის მიხედვით. მაგ., სოფ. ვაჭირში ჩაწერილ ზღაპარში ვკითხულობთ: „ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლად ბრწყინავდა... გააკეთებინა კიბე... ხელმწიფის შეილი ავიდა ბანზედ და დიწყო წინ და უკან სიარული. ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა“ (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 63.64).

ამავე კუთხეში ჩაწერილ ზღაპარში ხელმწიფის შეილი თავის სასახლეს დედაბოძს უკეთებს (ძვ. საქ. IV. განუ. IV. 76—77).

საცხოვრებელ ნაგებობათა მეორე გჯუფი, რომელიც ბანური სახურავით წარმოდგენილ ნაგებობათაგან ძირითადად განსხვავდება ცადაქნილი სახურავით ხალხურ პოეზიაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახელწოდებებით: ძელური, ოდა, პალატი, სასახლე, ქოხი, ფაცხა, ჯარგვალა და სხვ.

ძელური როგორც საცხოვრებელი ნაგებობის სახელწოდება ზემო იმერულ მასალებშია წარმოდგენილი. მაგ., ერთ ზღაპარში ნათქვამია: „მთვარიანი შუქი შემოდის ძელურის საფაფურიდან და ნაპრალებიდან“ (ძვ. საქ. I. განუ. IV. 52).

გურულ ფოლკლორში ძელის სახლი იხსენება:

ელისავო-მელისავო, სახლი დავღვი მელისავო,  
შითა რძალი შევიფვანე ზედნიერა ფენისავო.

(ლ. 30.61)

კარგი სახლის აღმნიშვნელად გურულ ფოლკლორში ოდა იხსენება, მაგ., ერთ გურულ ლექსში ნათქვამია:

უხედურო ჩემო ცხენო, მერჩიე თელ ამ სოფელსა,  
ფაცხაში რო დგამიდი იგი იფო უქნი ვოდა.

(ლ. 131.131)



ოდა იხსენება რაჭაში (სოფ. ღებში) 1871 წ. ჩაწერილ ფაქტობრივ ოდაში რომ პირს ღებან, გამოხვალ მზესა გავსარო. **გინგლირთქან**  
(უმ. 295.608)

ზემოიწერილ ღებქსში იხსენება სახლი პალატი-ოდური. სოფ. წე-  
ვაში სეფ. ვაჩეჩილადის მიერ ჩაწერილია ასეთი ღებქსი:

მელანო, ჩემო მელანო, ნუ ხარ ჩემი ორგული!

სახლი აგვეშენებოს, ქვეს პალატი-ოდური<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. I. განყ. IV. 86.36)

საუკეთესო ნაგებობაა ოდა-სარაია. მაგ., ზემოიწერილ ზღაპარში  
ნათქვამია: „ააშენოს ოდა-სარაია<sup>2</sup>, გარშემო შემოავლოს გაღავანი და მერე  
გამიბედოს სიძობაო“. (ძვ. საქ. I განყ. IV. 25).

სასახლე მაღალი წოდების წარმომადგენელთა საცხოვრებელია. მაგ.  
ერთი ხევსურული ღებქსი ამბობს:

ბატონო შენი სასახლე შაღვავ ქალაქის ქუჩას.

(შან. 280.695,1)

სასახლის აღმნიშვნელი ტერმინია პალატიც, მაგ.:

უბართოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე მანათობელათ,

რძლათ შოიწოდა შეფემან პალატის შესამკობელათ.

(უმ. 104.160)

ანდა: „ამისობაში ისინი მივიდნენ მეფის პალატაში“ (სიბ. 187).

სასახლის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე სარაია:

იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, ჩემ სასახლეს არა სჭირს რა!“

მერმე წვეული ეშმაკი სარაიას შეებრძვისა,

ოქროს სვეტი გააფალა, სარაია დასცა ძირსა,

„იობ; ღმერთ რათ არ ამაგებ, სარაია სულ დაიქცა.

(უმ. 142.219. ქართლი, გევი, რაჭა,

იმერ., კან., 1863—1875 წ.წ.)

ანდა:

გოსტიბეს კვირიაშვილი აშენებს სარაიას,

ბერიკაცი, ცოლი მამე, ჩაგოცმევ ღარაიას!

(ძვ. საქ. III. განყ. II. 168.1113)

ამბობენ აგრეთვე ოდა-სარაიას. ზემო იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში  
ნათქვამია: „გადმომდგარიყო სასახლის ღერეფანზე და იქიდან უკვირდებოდა  
გალმა სერში ამართულ მშვენიერ ოდა-სარაიას და მის ოქროს გაღავანს“.  
(ძვ. საქ. I. განყ. IV. 25—26).

ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ღებქსში სასახლე და ქარვასლაა მოხ-  
სენებული:

<sup>1</sup> პალატი—ძირა სართული; ოდა—ფიცრული კარგი სახლი; პალატი-ოდური—ორსართ-  
ულიანი კარგი სახლი. (ძვ. საქ. I. განყ. IV. 86.36. შენიშვნა).

<sup>2</sup> ოდა—სახლი; სარაია—სრა, სასახლე (ძვ. საქ. I განყ. IV.25. შენიშვნა 3).



სომის პირს ღუქან გამარათა, სუ მუღამ მუშტარ მოღისა, **ქარქვეშელნი**  
 შიგ ოროლ დახლიდარი ჭყავ, წკაპი-წყუპი ღვა ჩოთქისა, **ბიზბლიჩოთქს**  
 სომს სასახლეებს უქებენ, ქარვასლეებსა სჯობისა.

(ძვ. საქ. II. განყ. IV. 340.37)

1871 წელს ხევში ჩაწერილ ლექსში კი ქარმა სრია არის ნახმარი:

ხემწიფის ტანტყედ გაზდილი, პაძალკონიკი შოისაო,  
 ბვერი ეგეთი უხდია დავით სე-შინის შეილსაო,  
 ნიკოლოზიც კარგი ჭყავ, ამხირებელი შტრისაო,  
 კარს გაღვენები შიგლა, ქარმა სრია მატის პირსაო,  
 გარშამო ფანჯარაები, სანათობელი მზისაო.

(უმ. 64.70)

სასახლის განსხვავებული სახელწოდებები არამი, რომელიც მხოლოდ დედოფლის სამყოფი ნაგებობა ჩანს. ერეკლე მეორის შესახებ გამოთქმულ ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ფეიქრის ცოლი დედოფალმა იქ დაიბარა თავის არამში,  
 ფეიქრის ცოლი რომ შეიფანეს, ქვეშ გაუშალეს მასთაქ ნახადი.

(უმ. 103-158. უთარილო).

ხალხურ ლექსებში: ქობი, ფაცხა, ჯიგჯვალა და ფანჩატ იხსენება. ერთი მოხვედური ლექსი ამბობს:

საწყალი ვაცის ცხოვრებას რად უნდა ბვერი ზრიალიო,  
 ერთი ქობი მიწური და ერთი კოვა წელიანიო.

(გომ. 72)

ანდა:

ფანა მაქვ ნადარბაზვესა, შიგ ქობი გამეთხარეო.

(გომ. 14)

მიწურ ქობს თუ გამოთხრა უნდა ხის ქობს ჩადგმა უნდა, მაგ., ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

მანგლისს აქებენ საქმელსა, ქობები ჩავდგათ სისაო.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 20.94)

ამავე ჯგუფში უნდა მოვიხსენოთ ძელური ქობი. ზემოიშვრულ ზღაპარში ნათქვამია: „ვევიდა მზის დედის ძელურ ქობში“. (ძვ. საქ. I. განყ. IV, 4). იხსენება აგრეთვე წნულის სახლი. ერთ-ერთ ზღაპარში გვაქვს: „იყო ერთი კაცი და დედაკაცი... ძალიან ღარიბები... ქონდათ ერთი ძველი წნულის სახლი“. (სიხ. 161). წნულის სახლს იხსენიებენ კპონია. კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

წნულის სახლი გავაკეთე, ზედ დამიწვეია იხნები<sup>1</sup>.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 216.99)

ლექსებში იხსენება ალიზის სახლი. მაგ., ქართლურ ლექსში დასცინიან გამოელებს:

<sup>1</sup> იხნი—საჯვარდოლის ხეები (ძვ. საქ. III. განყ. II 216. სქოლიო).



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გომელები თქვე პლუტეზო  
სახლი გეგათ ალიზისა.

(ძვ. საქ. III. განყ. II. 88, 465)

გვებდება ტერმინი დაქობებაც ხეცურულ პოეზიაში:  
ავღარს არ გაგაწუწინებ, ჩემს ნაბადს დაგიქობებდი.

(მან. 162.423,3)

ფაცხა უბრალო ნაგებობაა. გურულ ლექსში ნათქვამია:  
მათ საღვამ სხსს შეაღგენდა უბრალო რამ ფაცხა ძველი.

(ღლ. 140.141)

ფაცხას აქვს ფაცხის სარჩხინავი. ერთ გურულ ზღაპარში გვაქვს:  
„ზინავს ვაფაქარს და ხედავს რომ მოფრინდნენ ანგელოზნები და შამოყდენ  
ფაცხის სარჩხინავაზე“ (ღლ. 159). ხოლო სხვა ზღაპარში ნათქვამია: „ლონდ  
გამათევიე ლამე და თუ გინდა სახლის საჩხინავში! გავათევე ამ ცხემლის ქრა  
საღამოს“-ო. (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 48—49).

ფაცხის ნაწილია აგრეთვე პარმახი. მაგ., „ჩემ ფაცხაში მე და ჩემი ქა-  
ლი ძვილათა დაეტეულვართ და შენ სალა დაგაწვინოვო...პარმახში მინც დაე-  
წობი და ნუ მეტყვი ვარსაო“. (ღლ. 159). სხვა გურულ ზღაპარში პარმალი  
ჯირგვალა სახლის ნაწილია. მაგ., „ჯარგვალაის პატრონმა უთხრა: პარ-  
მალი თუ გაათევე ლამეს, თვარა ისთე არ შეიძლებაო“ (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 48).  
ფაცხას აქვს აგრეთვე ყვებური, რომლის შესახებ ზემოთ ითქვა. (იხ. კრა.  
ყვერფი).

ხალხურ ლექსებში იხსენება აგრეთვე ჯარგვალა. იგი ყოველთვის რა-  
ღაც საცოდავი სახითაა მოცემული: „პაწა ჯარგვალა“, „დანტროვილი ჯარ-  
გვალა“ და სხვ. მაგ.: „ტყეში შევიდა და პაწა ჯარგვალაი დეინახა“, (ღლ.  
20.), ანდა: „ედგა ერთი დანტროვილი ჯარგვალაი, რომელსაც აქიდან-იქი-  
დან მიყუდებული ქონდა ბიჯგებო, რომ ქარს არ წიქტია“. (ღლ. 149). საყუ-  
რადლებოა გურული ზღაპრის ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც ჯარგვალა  
საქმლის დასამზადებელი ნაგებობაა. აქ ნათქვამია: „მე უნდა წევიდე ძალიან  
შორე და ააგძალი მომიზადეო. ქალმა ჩევიდა ჯარგვალში“ და ჩააგდო კვე-  
რი, გამოალო უხანდარას კარი და გამოიღო ყველი“. (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 43).

ჯარგვალას ნაწილია აგრეთვე ჯარგვალაის ღოჯე. მაგ., გურულ  
ზღაპარში ნათქვამია: „დაღამდებოდა და აყუდებდა სამ ვოყიან თოხს ჯარ-  
გვალაის ღოჯესთან, შიალებდა კარეთს, მუანთებდა ცეხლს, გამეიტანდა ვო-  
ხანდარაიდან ცივ ქაც და აცუსქნიდა თებზის კუს“. (ღლ. 275). ღოჯეს

<sup>1</sup> საჩხინავი—ზევით მხარე ისლით დაბურული სახლისა, ფმაღლესი ნაწილი სახლის სა-  
ხურავისა. (ძვ. საქ. IV. განყ. IV. 49, შენიშვნა).

<sup>2</sup> ჯარგვალა—ხის მორებისაგან აშენებული ქობი (დასახ. ნაშრომის თანდართ. ლექ-  
სიკონი).

<sup>3</sup> ჯარგვალა—გურული სამზარეულო სახლი, უფრო მრგვალი ხეებიდან აშენებული (ძვ.  
საქ. დ. სახ. გვერდის სქოლიოში).

<sup>4</sup> ღოჯე—ერთმანეთში ჩაშენებული ძელების კუთხედია ფიცრულ სახლში. (დასახ. ნაშ-  
რომის თანდართული ლექსიკონი).

აქვს ღოჯის თავი მაგ., ამის გამგონე ბერკაც გადაიფიცა ბეჭის ტყვედ დაედენ ღოჯის თავზე და... დეიწყეს ლაპარაკი“ (ლლ. 259). ფაჩინაძის ღოჯის გვალას შესაკეთებლად ბიჯგები იხმარება. (ლლ. 149).

ნაგებობის აღნიშვნელია აგრეთვე სახლი ფანჩატრი. ფშავერ ლექსში აღნიშნულია:

სახლი გედვას ფანჩატრი, შიგ რამ გედვას ფარსავიო (გამოსადეგო).  
(ძვ. საქ. II განუ. IV. 346.83)

საბა ორბელიანის განმარტებით ფანჩატური ფოთლის დერეფანს ნიშნავს (ლექსიკ.).

ხალხურ პოეზიაში იხსენება სახლსამყოფის განსაკუთრებული ხასიათის ნაგებობანიც: კოშკი, ჩარდახი და კარავი.

ხალხური პოეზიის მასალების მიხედვით კოშკში უმთავრესად შიშინობის დროს ცხოვრობენ. მაგალითად, ქართლში სოფ. საწიხურში 1870 წელს ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

სახლ-კარი მომართული გაქვს, კოშკი გიღვია ხისაო,  
ანგაღ და შიგ დაიძინებ [არ გეშინია] შტრისაო.  
(უმ. 65.72)

კოშკი არის ხისა ან ქვის მასალით ნაგები მაღალი შენობა. ქვის კოშკი კირითაა ნაგები და აქვს კიბიანი გზა ასასვლელად.

კოშკი საქართველოს ყოველი კუთხის ხალხურ პოეზიაში გვხვდება. მესხეთში „ვინმე მესხის“ მიერ ჩაწერილ გამოცანაში ციხე-კოშკის შენობა იხსენება.

ციხე-კოშკის შენობასა ოთხი ღვას და ერთი ურბენს.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 309.20)

მაღალი კოშკი იხსენება მესხეთში სოფ. ხიზაბავრაში 1888 წელს ჩაწერილ ლექსში:

იდუმლის კოშკი მაღალი, სახეიროზედ ღვასარო.  
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან, ჩრდილო, სათქვენც წახვალო.  
(უმ. 391.1181)

არსებობს თლილი ქვითა და მარმარილოთი ნაგები კოშკები. მაგ., მოზეურ ლექსში ნათქვამია:

იქ სამ ერთი კოშკი იდგა ანაგები თლილი ქვისა.  
(გომ. 63)

ხოლო ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კოშკი ხარ მარმარილოსი, შიშით ნაგები კირითა,  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 124.804)

ანდა:

კოშკი ღვას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია,  
აღმასის კიბე წინ უდგა, ახვლა ჩამოსვლა ძნელია.  
(ძვ. საქ. III. განუ. II. 189.1266)



საინტერესო ცნობას გვაძლევს კოშკის მოყვანილობის შესახებ ნათქვამი: „ბიკმა ბოლოს დაინახა კვერცხივით ჩაჭრულ ქვას“ (ჩიქ. 133).

კოშკს წვერში ჩარდახი აქვს. მაგ., ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

კოშკი ღვას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯუნია,  
აღმასის კიბე წინ უდგა, ასვლა-ჩამოსვლა, ძნელია,

სულ ერთიანად გაჭწყვიტა, რაც გალავანში ვრია,  
ისე ავიდა ჩარდახში, არ დაეარგა ფერია,  
მივიდა, ლერწამ-ღარეჯანს ზედ გადაჭყვია ხელია.

(ქვ. საქ. III. განვ. II. 189.1266)

კოშკს გარს გალავანიც ჰქონია შემოვლებული. მაგ.:

ზურაბ მჯღომი კოშკსა გვანდა, გარს რა ველო გალავანი.

(უმ. 12.9)

ანდა:

ააგო სურამის ციხე, ცათამდინ აიტანაო,  
გარს გალავანი შეავლო, კოშკები დაატანაო,

(უმ. 178.288. შესწვთი. სოფ. უდე, 1889 წ.)

ციხის კოშკები ბევსურულ პოეზიაში გვხვდება ხშირად (შან. 474.227 გ. 2 და სხვ.) და იგი საბრძოლო ციხეების ნაწილს შეადგენს, ამიტომ მათი განხილვა სამხედრო ნაგებობათა შესწავლის ფარგლებში შედის.

კოშკი საცხოვრებელ ნაგებობასთანაც იხსენება და სამხედრო დანიშნულებისაცაა. ასეთივე მღვომარეობა გვაქვს ე. წ. ჩარდახის მიმართ, იგი საცხოვრებელ სახლებსაც აქვს და ციხეებსაც. ჩარდახის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა მაღლად ნაგებობა. მაგ. კახეთში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

ქარი ქრის, ქარი შიშინებს, მაღლა ჩარდახსა ბერავსა,

შიგა ზის ქალი ჯამაზი, შავი პერანგსა ჰკერავსა.

(უმ. 399.1275)

მაღლა ჩარდახში ცხოვრობენ ეთერი, ლერწამ დარეჯანი. მაგ., ეთერი ამბობს:

ღვავებუ ჩარდახოზასა, ჩამოვალ დარეჯანასა.

(უმ. 158.238, 1870 წ.)

აქ ჩარდახოზა მრავალი ჩარდახის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ერეკლე II-ის შესახებ გამოთქმულ ლექსში ნათქვამია:

შემდეგ ამაზედ ჩიოდა: დახე სიკვდილის ეამსაო,

მიკარქამს თფილისის ქალაქს, ქართლსაც მიძლევენ სხვასაო.

ველარც დავჯვები ჩარდახზე, ველარც დავხედამ მტკვარსაო.

(უმ. 565. 163 ე)

ვაჭართა კლასის წარმომადგენელიც მაღლა ჩარდახში ნებიერობს. 1871 წ. ფერადის მიერ ჩაწერილ ლექსში გვაქვს:



შეგვადე გურუქ აღსა, მალა ბრძანება ჩარღსში,  
ცეცელით შემოურზინე, შიგ ჩამოვადე სარღსში.  
(უმ. 224.415)

ერეკნული  
ზიზღიერება

ჩარღსი ლამაზი ნაგებობაა. ზემო იმერეთის სოფ. წვევაში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ნეტა რა არის მისთანა: ამავეალი მზისთანა,  
წვალში რო ფეზი უდგია, იმ ოქროს ჩარღსისთანა<sup>1</sup>.

(ძგ. საქ. I. განყ. IV. 62.9)

ამ ლექსიდან ჩანს რომ ჩარღსს ფეხებში აქვს და იგი დამოუკიდებლადაც შეიძლება იქნას აგებული (წვალში უდგას ფეხები). ჩარღსის ფეხები ამირანის თქმულებაშიც იხსენება:

ზევით რას ერჩი სპილოსა, ქვევით დაუშვი რბილოსა,  
ჩარღსს ფეხები შეაჭერ, მაშინვე მოაწვიოსა,

(ძგ. საქ. III. განყ. II. 228.188. კახეთი. თ. რაზ.)

ამავე ლექსის მეორე ვარიანტში ჩარღსის ბოძები იხსენება. (უმ. 9.8. კახეთი, ლავრ. მათიკაშვილი. არის აქვე ვარიანტებიც 1871 წ. ფერადის მიერ ჩაწ. და 1878 წ. ხევში ჩაწ.). ილია ქავჭავაძის მიერ სოფ. კარდენახში ჩაწერილ ლექსში ყავრით დახურული ჩარღსი იხსენება. მაგ.:

ცა წითლად, ყვითლად ეღაუდა, ხუტევას იხეროდა ქვისასსა,  
თავზედ შექცევდა ჩარღსსა, დახურულ ფავრისასა.

(უმ. 207.358)

ჩარღსი სანატრელი ნაგებობაცაა. კახეთში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

ნეტავი ნატვრა მანატრა, ნატრული ამიგზალო,  
ოქროს ჩარღსი ღამიღგა, გარს მინა შემოარტყო.

(ძგ. საქ. III. განყ. II. 226.175)

ოქროს ჩაღდაცუბე ლაპარაკობს აქარის სოფ. ხუტუბანში ჩაწერილი ლექსიც:

ოქროს ჩაღდაცუბე დავიღგამ, თეთრი ირმისა ღვისასა,  
ზეცურას გადმოგაკიებ, სასმელსა ცხენის წვლისასა.

(უმ. 309.724)

სანატრესოა ტერმინები „თეთრი ირმის ღჯა“ და „ხეცურა“, რომელიც აქ ჩარღსის მასალად და შემადგენელ ნაწილად არის დასახელებული. ციხესაც მქონია ჩარღსებში. ხევსურულ ლექსებში იგი ხშირად იხსენება. მაგ.:

უწინ რომ მდგარან ციხენი, ცას მისღენია წვერია.

ჩარღსთი (თ) გარდატეული შიბი ცხრა-კეცი გძელიო.

(შან. 574.541. გ. 3—5)

<sup>1</sup> „ამ ჩარღსს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში რიონის პირად ვაკების გიშნახისთან“ (ძგ. საქ. I. განყ. IV. 62, შენიშვნა).



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ანლა:

ციხე ყოფილას ცხრა-თვალი, დახედულ მშვენიერია,  
გვერდებზედ სქონდეს ჩარდახნი, კუთხეებზე საოფენია.

(შან. 222.541,4—5)

ციხის ჩარდახიდან მეომრები მტერს იგერიებენ. მაგ.:

ახილს თეთრსა ციხესა ჩარდახი ჩამასდისო,  
შეა ზის შექიპური, თავს ცვესლი გადასდისო.

(შან. 44—113,1—2)

თუშეთში ჩაწერილ ლექსშიც მეომარი ჩარდახიდან ომობს:

მამა აღვიძებს ვარასა: სოფლად ჩამოვიდ ვარიო.  
წამოდგებ კეხუს გარაი, ჩარდახებმ შექმნეს ჩქამიო;  
გამოულიშნა რომელსაც, იმ წამსვე დახვა ბირსაო.

(ძვ. ხაქ. II. განუ. V. 36.59)

ყოველივე ზემოთქმულის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ჩარდახი ურმის გადასახურავ მოწურობილობასაც ეწოდება. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში გვაქვს:

ჩარდახიანი ურეში ზედ კარებზედ გამოვირია,  
ჩაუჯდები და გავუვები, თუნდა იყოს თათრის შოლა.

(ძვ. ხაქ. III. განუ. II. 49.232)

ამგვარსავე ჩარდახზე უნდა იყოს ნათქვამი იმავე კუთხეში ჩაწერილ ლექსში:

ჩაფიარე ბაზარშია, ქალი იჯდა ჩარდახშია,  
ქალსა ვაშლი გადაუვადე, ქალმა ვაშლი არ ინდომა.

(ძვ. ხაქ. III. განუ. II. 169.1117)

დროებით საცხოვრებლად მგზავრობის დროს „იქნება ეს ბრძოლა, ნადირობა თუ სხვა რამ, გამოიყენება კარავი. იმერეთის სოფ. ფარცხანა-ყანებში ასეთი გამოცანა არის ჩაწერილი: „სახლი დაედვი უსაძირკვლო, ხან გახსნილი, ხან შეკრული, ხან მგზავრი და ხან დებული“. (უმ. 503.1645).

კარავი კეთდება სამგზავროდ მოსახერხებელი მასალისაგან, უნდა შეიძლებოდეს მისი დაკეცვა და შეკრა თან წასალეზად. როგორც ჩანს კარავი უფრო მეტად ბამბის ქსოვილისაგან კეთდებოდა და ამიტომ ხშირად „ბამბის კარავი“ იხსენება. მაგ., სენაკის მაზრაში 1871 წ. ჩაწერილ გამოცანაში ბამბის კარავი ასეა დახასიათებული:

თეთრი ვარ, თეთრი, შინდორზე თეთრად გაღოვეფინება,  
დრო მომივა იმისთანა, ენენზე გაღოვეყილება.

(უმ. 503.1643)

იხსენება სხვა ფერის კარავებიც: მაგ., გამოცანაში ნათქვამია: სახლი მწვანე, უსაძირკვლო...წითლად ყვითლად მორთულია. (უმ. 503.1646. ქართლი, 1872 წ.). კარავი მაღლიდგან გარდმოხატულიც შეიძლება იყოს. მაგ.:



ვისია მწვანე კარავი, მაღლიდან გარმოსატული,  
 ღვთისა და მისი ნუბითა მთვარე ხარ გამოხატული.  
 (უმ. 354.1085. სენაქის შაზრა, 1871 წ.)

ერეკნული  
 გიბლნირთქს

იხსენება წითელი (უმ. 402.1296. ქიზიყი, სოფ. ანაგა, 1875 წ.) და  
 ფირუზის კარავი (უმ. 247.458. თბილისი, 1859—60 წ.წ.), აგრეთვე  
 დიდი კარავი (უმ. 256.476. გურია) და კარვის კარავი. მაგ.:

წითელსა კარვის კარავსა ფარდა შეველო ქარსა,  
 შიგ მზე დახვლებულიყო, მთვარე აყრიდა შაქარსა.  
 (უმ. 402,1296. ქიზიყი, ს. ანაგა, 1875 წ.)

ამავე ლექსიდან ირკვევა, რომ კარავს აქვს ფარდაც. სხვა ლექსში იხსენება აგრეთვე კარავის სვეტი:

ავლაბრის ბზარს ჩამოსდა, ადგილი უვხარია,  
 დასდა და დასდა კარავი, სვეტი ოქროსი მფავრია.  
 (ძვ. საქ. III. განე. II. 197.4. კახეთი. თ. რაზ.)

ბევსურულ პოეზიაში კი კარავის ბოძებს ახსენებენ, მაგ.:  
 ბასტრიონს კარავის ბოძებს, ჴევსურებ კმლითა სჭირანო.  
 (შან. 324.24. დ, 13)

კარავს აქვს კარავის კარიც, რომლის შესახებ იხვე ბევსურულ ლექსშია ნათქვამი:

ხად ივეა თუშიშვილები ჴევსურებ კარავს ქრანო,  
 ნადირაის კმლის ნამტვრევი კარავის კარში ჴერანო.  
 (შან. 9.24.12—13)

კარავის სადგომად გამზადებას ეწოდება კარავის დაცემა. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ასე გვაქვს:

შვიდგანვე დასცეს კარავი, შვიდგანვე შაილხინესო.  
 (ძვ. საქ. III. განე. II. 100.563. ქართლი. თ. რაზ.)


ბევსურულ პოეზიაში ამ პროცესს კარავის დადგმას ეძახიან (შან. 37.65. გ, 2).

საცხოვრებელი ნაგებობების ის მრავალფეროვანი და მდიდარი სახეობანი, რომელიც წარსულსა თუ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში მოგვეპოვება, ზემოთ ჩამოთვლილი ქართული ლექსის ჩარჩოში მეტად შეკუმშულადაა წარმოდგენილი. ამჟამად საგანგებო ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ხალხურ მშენებელ ხელოსანთა ცოდნის დიდი მარაგი არის გამოვლენილი და აგების ხერხებისა, ასაგები მასალისა და ნაგებობის ყოველი ნაწილისათვის შესატყვისი ხალხური სახელწოდება არის დადგენილი, რომელთა გამოკვეთება ქართული მშენებლობის ხელოვნების მრავალ გაურკვეველ საკითხს მოფენს ნათელს.

ბიბლიოთეკის საძიებელი

✓ აგება 13  
 აგება დღეობით 13  
 აგება ლამკირით 13  
 აგება ქვიტკირით 13  
 აგების ქელი 1  
 აგური 9, 10, 11  
 ადგილი 16  
 ადლი 8  
 ავლუბა დობის 32  
 ალაგი 16  
 ალაგური 9,11  
 ალვის ხე 12, 13 ✓  
 ალიზი 9,13  
 ალიზის სახლი 41, 42  
 ალმასი 9  
 ალმასის დერეფანები 21  
 ალუბალი 12  
 ამჟოლი კარების 32 ✓  
 არამი 41  
 ✓ აფრა 19 ✓  
 ✓ აყარი 37  
 ბალავერი 10, 23  
 ბაკე 32  
 ბანი 19, 25, 30, 34, 35, 36  
 ბანის ბანი 38,39  
 ბანის გვირგვინი 35  
 ბანის თავი 35  
 ბანის კარები 34  
 ბანის წვერი 35  
 ბან-კარი 17, 34  
 ბანი ქვიტკირისა 34  
 ბარი 5  
 ბასრის ქვა 9  
 ბაჭანი 22  
 ბერძენთა ქელი 1  
 ბერძენბული 1  
 ბერძნის ჩაქუჩი 1  
 ბინა 16  
 ბიჯგები 43  
 ბნელეთი 31  
 ბნელური სახლი 31  
 ბოლბი 13  
 ბოძი 38, 45 ✓

ბროლი 9,10  
 ბროლ-მარიალის ქვა 9  
 ბუზარი 25  
 ბუზრის პირი 26  
 ბეღელი 31,32 ✓  
 ბალავენი 11, 17, 21, 32, 33  
 ვალავენი კოშკების დატანება 44  
 ვალესვა 17  
 გამაგრება ქვიტკირისა 13  
 ვარეთა 28, 29  
 ვასაყარი 21  
 გვირგვინი 35  
 გვირგვინიანი ბანი 34  
 გოზი 10  
 დარანი 21  
 დარბაზი 34, 37, 38  
 დარბაზობა 38  
 დასახლება 16  
 დატალაზვა 14  
 დაფანჯარაული ეზო 33  
 დაწენა წნელით 32  
 დახურვა 9,45  
 დურგალი 2 ✓  
 დულაბი 13  
 დედამოძა 21, 36, 39 ✓  
 დერეფანი 18,21  
 დერეფნიანი სახლი 20  
 დვირო 20  
 ეზო 32  
 ეზო დაფანჯარაული 17  
 ეზო-კარი 17  
 ეზო-მიდამო 17, 32  
 ეზოს კარი 33  
 ეკალდამი 15  
 ერდო 35 ✓  
 ერდო-ბანი 36  
 ერდო-კარი 17, 36  
 ✓ ენო 6 ✓  
 ვოდა 39  
 წაით სახლი 1, 27 ✓  
 ხემო თავი 28



ზემო თვალი 29  
 ზემოთ ყურე 29  
 ზესხვენი 20  
 ზეცურა 45  
 ზღუბლი 14, 22  
 ზღუდე 22, 32  
 ზღურბლი 22

თავი სახლისა 19, 28  
 თავზე 20 ✓  
 თარო 21, 25, 26  
 თარო-კედელი 26  
 თაზნა 26  
 თვალი სახლისა 27, 29  
 თლილი ქვა 43  
 თუთის ხე 12

იატაკი 18, 19, 20  
 იხნი 41

ქაკალი 12  
 კალატოზი 2, 5  
 კალოს კარი 21  
 კარავი 43, 46, 47  
 კარავის დაცემა 47  
 კარვის კარი 47  
 კარვის კარავი 47  
 კარავის სვეტი 47  
 კარაპანი 21  
 კარები 14, 33, 34, 36  
 კარების აწყობილი 32  
 კარების შებმა 32  
 ბარების კეტი 23  
 კარი 1, 13, 18, 20, 22, 24, 25, 32, 38  
 კარი (ბან-კარი) 34  
 კარი (ეზო-კარი) 17  
 კარი (ერდო-კარი) 36  
 კარი (სახლ-კარი) 17  
 კარი ეზოსი 33  
 კარი კალოსი 22  
 კარი კარავის 47  
 კარი საკემის 24  
 კარი სამრეგლოსი 31  
 კარი ქალაქის 18  
 კარი ყორისა 33  
 კარი ჭერხოსი 22  
 კარი ოჯახის მცავი 2  
 კარია 32  
 კარის თავი 23  
 კარის პირი 16  
 კარის ფენწი 23

კარძელი 22  
 კარწინი 12  
 კედა 23  
 კედელი 18, 26  
 კერა 36, 37, 37  
 კერა (ყვერფ-კერა) 37  
 კერას უკან 37  
 კერის დაღება 37  
 კერის პირი 37  
 კეტი 23  
 კვერი 5, 6  
 კიბე 2, 12  
 კირი 10, 14, 17  
 კლდე 9  
 კლიტე 23  
 კოშკი 10, 11, 43, 44  
 კოშკის კიბე 43  
 კოშკის ჩარდაბი 44  
 კრამიტი 11  
 კუთხე 28, 29

ლამი 14  
 ლამ-კირი 13, 14  
 ლარი 7  
 ლაფი 13, 14  
 ლესვა 14  
 ლესვა რძით 14  
 ლიბო 14  
 ლოდი 10, 23  
 მარილის ქვა 9  
 მარილის ქვა 9  
 მარმარილო 9, 10  
 მასალა 2  
 მაშხალა 12  
 მერჩი 20  
 მესერი 32, 33  
 მესყვრე მუშა 12  
 მიღამო 17  
 მიწა 15  
 მისხალი 8  
 მიწური 9, 11  
 მიჯნა 16  
 მოაჯირი 22  
 მორი 12 ✓  
 მოსაქმელი 2  
 მოფარგელა 7  
 მოჭედა 14  
 მტკაველი 8  
 მუშა 12  
 მუხა 12



- ნ-გები 1,9,10  
 ნათალი 11  
 ნამორი 12 ✓  
 ნაპარტაზალი 17  
 ნარცი 10  
 ნაფოტარი 12  
 ნაფოტი 12  
 ნაშენობა 1  
 ნაძვი 12,13  
 ნიჩაბი 5
- ოდა 34,39 ✓  
 ოფა-სარაია 21,40  
 ოსტატი 2,5  
 ოყა 8
- პალატა 40  
 პალატი 39,40  
 პალატი-ოდური 40 ✓  
 პალო 7  
 პარმალი 21,42  
 პარმაზი 21,42  
 პინა 8
- რვალი 15  
 რკინა 14  
 რძით პირის მოღვსვა 14  
 რიჯის ღორლი 10  
 რცხილა 12
- საბელი 8  
 საბნელო 30,31  
 საბნელოში დაჯდომა 31  
 საბოსლო კოზი 31  
 სადარბაზე 38  
 სადგომი 17  
 საეპრო 13  
 სახამთრო სახლი 32  
 სახომი 8  
 საყვამი 24  
 საყვმის კარი 24  
 საკლიტე 23  
 საკმი 24  
 საკომი 24  
 საკომლე 24  
 სალი ქვა 1,9  
 სამრელო 13,30,31  
 სამყოფი 16  
 სამყოფო 16  
 სანგრეველი რკინის კეტი 5
- სანთიობო 30  
 სარაია 40  
 სარდაფი 45  
 სარი 12, 32  
 სარკე 15  
 სარკმელი 15, 18, 22, 24, 25  
 სართული 28  
 სარჩინავე 42  
 სასაბლე 10, 11, 38, 39, 40  
 სასახლის დედანობი 39  
 სასახლის ბანი 39  
 სასახლის დერეფანი 21  
 სატეხი 5  
 საფაფური 25, 39  
 საფლაკი 15  
 საქურდელი 23  
 საჩინავე 42  
 სამირკველი 9, 18, 19  
 სამირკველის ჩაყრა 18  
 საწარბეკლა 6  
 საწოლი 30  
 საწონი 8  
 საწყაო 8  
 საზი 17  
 სახლ-გალავანი 17  
 სახლი 12, 13, 14, 18, 19, 21, 24, 27, 28, 29, 31, 32, 38, 41, 42  
 სახლი აღიზისა 10  
 სახლი ბანი ბანითა 39  
 სახლი კლდისა 9  
 სახლი მორთული სარათიანი 14  
 სახლი პალატი-ოდური 40  
 სახლის გარეთა 28  
 სახლის ზემო თავი 1  
 სახლის იზნები 41  
 სახლის კუთხე 28  
 სახლის სართული 28  
 სახლის საჩინავე 42  
 სახლის სამირკველი 19  
 სახლის ყურე 28, 29  
 სახლის ყური 28  
 სახლის ყურია 28  
 სახლის შინა 28  
 სახლი ფანჯატი 43  
 სახლი ძელისა 11, 39  
 სახლ-კარი 17  
 სახლ-სამყოფი 16  
 სახლი ქვიტკირისა 34  
 სახურავი 18, 19, 34, 39  
 სახურავი ბანიანი 34



- ✓ სახურავი კონსტრუქციები 34
- ✓ სახურავი ლიტონიანი 34
- ✓ სახურავი ცადაქნილი 34
- ✓ სვეტი 39, 47
- სინა 14
- სიბი 14,9
- სოლი 7
- სობანე 20
- სპილენძი 15
- სრა 41
- სტილი 8
- ურდული 24
- ✓ ურო 6,7
- ✓ უსტა 4
- ფაზიტი 9, 12, 34, 41, 43
- ფანჯარა 10, 15, 25
- ფარავალი 7
- + ✓ ფაცა 17, 22, 36, 39, 41
- ფაცის სარჩინი 42
- ფეხი 45
- ✓ ფუტარი 11,19
- ფიჩხი 12
- ფოტევი 12
- ჭახდარი 26
- ჭალაქის კარი 18
- ჭანდარა 25, 26, 27
- ჭარაფი 10
- ჭარვასლა 40, 41
- ჭარმა სრა 41
- ჭასრი 6
- ჭაჩალი 5
- ჭაცვი 12, 32
- ჭეა 9, 10, 13
- ჭეა-ცხრილი 7
- ჭეა-წერილი 10
- ჭევეითი 28
- ჭვეთა თვალი 27
- ჭვითკირი 13
- ჭვის სამტრეველი კვერი 5
- ჭვითკირი 11, 34
- ჭვითკირის გამაგრება 13
- ჭვიშა 14
- ჭვიშანარევი კირი 14
- ჭირჭო 25, 26, 27
- ჭოთია 27
- ჭოთი 1, 28
- ✓ ჭობი 11, 31, 34, 39, 41
- ჭობის ბაკე 32

- ღობე 32
- ღობის ავლება 32
- ღობის წინელი დაწენა 32
- ღოჯე 42
- ღოჯის თავი 43

- ✓ ქვარი 12, 14, 19, 45
- ყავარის გახდა 12
- ყვებური 37
- ყვერფი 37
- ყვერფ-კერა 37
- ყორე 13, 32, 31
- ყორის კარი 33
- ყუნწი კარებისა 23
- ყურე 28, 29
- ყური 28
- ყურია 28, 29

- ✓ შალაშინი 6
- შაჯენჯეა ქვისა 33
- შენობა 1, 43
- შენა 12
- შიშა 7
- შიენით შიგანი 29
- შინა 28,29
- შინ და შინ 29
- შუბანი 35
- შუშუტები 15
- ჩაიბული კიბე 12
- ჩალა 12, 14, 19
- ჩალდაყი 45
- ჩალდაყის ზეცურა 45
- ჩარდახზე დაჯდომა 44
- ჩარდახი 12, 38, 43, 44, 45, 46
- ჩარდახის ბოძი 45
- ჩარდახის ფეხი 45
- ჩარდახისობა 38
- ჩარგეკი 7
- ჩასავალი კიშკრისა 33
- ჩაქუში 7
- ჩხირი 12
- ცადაქნილი სახურავი 33
- ციხე 1, 2, 9, 10, 11, 13, 43
- ციხის კოშკი 44
- ციხის ჩარდახი 45
- ✓ ცულ-აფთარი 6
- ✓ ცული 6
- ცხვი 7
- ცხაკლიტული სახლი 24

✓ ძელი 9, 11, 23

✓ ძელის საბლი 11, 12

✓ ძელური 39

ძელურის საფაფური 39

✓ ძელური ქოზი 11

ძეძვი 12, 32

ძირი ციხისა 14

⊗ წაღდი 6

წალკოტი ალაგურისა 9

წერაქვი 5

წვერი ბანისა 35

წინგარდა 28, 29

წინგართა 29, 30

წიფელი 12

წნელი 12, 32

✓ წნული 9

წნულის საბლი 19

წყლა 8

პერაი 20

პერი 18, 19, 20

პერზო 27

პერზოს კარი 22

პირბლი ჭვისა 5

პიშკარი 33

პიშკრის კარი 33

პიშკრის ჩასავალი 33

პიჭკარი 33

ბე 2, 11, 12

ბევანი 12

ბელოსანი 2,5

⊗ ბერხი 5,6

✓ ბოზი ქვა 10

ბურვა 14

✓ ბურო 2,5

✓ ბურო-დურგალი 2

✓ ბუსტარა 6

ბელი 1

+ ✓ ჯარგვალა 34, 39, 41, 42

ჯარგვალაის ლოჯე 42

ჯარჯი 12

ჯოზი 8





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შემოკლებათა განმარტება

1. შან.—ქართული ხალხური პოეზია, I, ზევსურული, თბილისი, 1931 წ. პროფ. ა. შანიძის რედაქციით.
2. გაბ.—სენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული I—II, 1923—1924 წ. თბილისი. ზევსურული მასალები პროფ. ა. შანიძის რედაქციით.
3. უმ.—ხალხური სიტყვიერება I, თბილისი 1937 წ. პ. უშიკაშვილის მიერ შედგენილი, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით.
4. ძვ. საქ.—ძველი საქართველო ტ. I, II, III, IV, განყოფილება: ეთნოგრაფია, სახალხო სიტყვიერება. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული, თბილისი 1909—1915 წლები.
5. ჩიტ.—ქართული ხალხური ზღაპრები I, თბილისი, 1939 წელი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით.
6. სიზ.—საბავშვო ფოლკლორი, თბილისი, 1938 წ., ქს. სიზარულძის რედაქციით.
7. ლლ.—გურული ფოლკლორი, ტ. I, თბილისი, 1937 წ., ალ. ლლონტის რედაქციით.
8. გომ.—მოზევერი ლექსები, თბილისი, 1939 წ., ალ. გომიაშვილის რედაქციით.

42737 ✓



ქართული  
ზიზლიროთი

---

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი გ. ჩიჭაია

ტექნიკური {  
კორექტორი { თ. თხელაიანი

კონტრ. კორექტორი—ნ. ჯაფარიძე

შეკვ. 240. უფ 17071. ტირ. 1000.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.12.50.  
ანაწყოების ზომა 7×11. საბ. ფურც. 3,75  
საალრიცხვო-საგამომც. ფურცელი 5.

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,  
აკაცი შერეთლის ქუჩა, 3/5





ქართული  
ბიბლიოთეკა